გურამ ძაგანია

ქართული ჭიდაობა

თბილისი - 2024

გურამ ძაგანია

ქართული ჭიდაობა

რედაქტორი: თამაზ გოგიბედაშვილი

რეცენზენტი: ასოც. პროფესორი ნინო ძაგანია

კორექტორი: ასოც. პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი - 2024

ქართული ჭიდაობა

ისეთივე ეროვნული საუნჯეა, როგორც ფოლკლორი, ქართული სიმღერები, ქართული ხუროთმოძღვრება

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი

სარჩევი

ავტორისაგან.....6
შესავალი 10

თავი I. ქართული ჭიდაობის ისტორია.....18

თავი II. ქართული ჭიდაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები (XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველი ნახევარი) ...29
დათა ხიზამბარელი 30
კულა გლდანელი.....36
ნესტორ ესებუა.....41
იაკობ ეგნატაშვილი 53
ვანო ქიზიყელი (აბულაძე).....57
იოსებ გეთიაშვილი (ჯიმითელი).....60
სანდრო კანდელაკი.....61
კოლია (კოლა) ქვარიანი.....64
შაშო ვერელი.....70
ირაკლი ვაჩნაძე (კახელი).....73
მიხა ქურხული.....76

თავი III. ფალავნობა საქართველოში.....79
3.1. 1928-2023 წლების ფალავანები.....80
ალექსი დავითაშვილი.....80
ზაქარია ბაკურაძე 80

ანზორ კიკნაძე.....81
მალხაზ ბერუაშვილი.....81
ადამ ოქრუაშვილი.....82
არსენ მეკოკიშვილი.....82
ფალავნები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.....85

თავი IV. ქართული ჭიდაობიდან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე.....88
არსენ მეკოკიშვილი.....89
დავით (ამურ) ციმაკურიძე.....91
მირიან ცალქალამანიძე.....95
ლევან თედიაშვილი.....98
შოთა ჩოჩიშვილი.....101
შოთა ხაბარელი.....104
ზურაბ ზვიადაური.....107
ვახტანგ ბალავაძე.....110
გიორგი სხირტლაძე.....113
ვლადიმერ რუბაშვილი.....115
ანზორ კიკნაძე.....118
ანზორ ქიბროწაშვილი.....120
ვანო გამხიტაშვილი.....122
თემურ ხუბულური.....124
მალხაზ ბერუაშვილი.....126
ალექსი დავითაშვილი.....127
ადამ ოქრუაშვილი.....128

ჯემალ მჭედლიშვილი 129
ვალერი პარუნაშვილი..... 130
ზვიად ხანჯალიაშვილი..... 131
ლაშა გუჯეჯიანი..... 132
ბექა ღვინიაშვილი..... 133
გურამ თუშიშვილი 134
ონისე ბუღაძე 135
ლევან გორგოძე..... 136

თავი V. საგვარეულო დინასტიები ქართულ საჭიდაო სამყაროში
..... 139

ლიტერატურა: 15853

ავტორისაგან

ქართული ჭიდაობა, როგორც უნიკალური კულტურული მოვლენა, გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად იქცა.

ეს დადასტურდა 2018 წლის 29 ნოემბერს მავრიკიის ქალაქ პორტ-ლუისში, როდესაც იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავრობათაშორისი კომიტეტის სხდომაზე, ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების – ქართული მრავალხმიანობის, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდისა და ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის შემდეგ, ქართული ჭიდაობა იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიყვანეს.

დღეისათვის იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში მსოფლიოს მასშტაბით სულ 1153 ძეგლია შეტანილი და გვეამაყება, რომ მათ შორის ოთხი ძეგლი საქართველოზე მოდის.

პორტ ლუისში მიღებული გადაწყვეტილებით დადასტურდა ქართული ჭიდაობის ელემენტების უნიკალურობა და ექსკლუზიურობა.

2019 წლის 30 აგვისტოს კი, სამხრეთ კორეის ქალაქ შუნგ-ჩუნგში, კონგრესზე, ცნობილი გახდა, რომ ქართული ჭიდაობა საბრძოლო ხელოვნების მსოფლიო ასოციაციის წევრი გახდა.

ქართული ჭიდაობის ამ აღიარებებმა ერთი ორად გაზარდა ინტერესი სპორტის ამ უძველესი და ულამაზესი სახეობისადმი და მსოფლიოს რამოდენიმე ქვეყანაში ინტენსიურად დაიწყეს მისი დანერგვა.

ქართულ ჭიდაობაზე უზომოდ შეყვარებულმა ადამიანებმა: **გიორგი შიუკაშვილმა** (ორგანიზაცია "წინაპარი"ს პრეზიდენტი), **ნუგზარ ბაგრატიონ გრუზინსკიმ** (საქართველოს სამეფო ტახტის მეთაური), **გელა ბერუაშვილმა** (ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი), ვეტერანმა მოჭიდავემ **ლუკა რამაზაშვილმა** და ქართული სამბოს ლეგენდამ - **უშანგი კუზანაშვილმა,** 2022 წლის 4 მარტს საქართველოში დააფუძნეს **ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია,** რომლის უპირველეს ამოცანად ქართული ჭიდაობის პოპულარობა და

სხვადასხვა ქვეყნატეში მისი დანერგვის ხელშეწყობა განისაზღვრა.

ფედერაციამ დაფუძნებიდან სულ მოკლე დროში თბილისში ჩაატარა ჭაბუკთა შორის მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი, რომელშიც 22 ქვეყნის ახალგაზრდა ფალავანი მონაწილეობდა.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 2023 წლის 24 სექ-ტემბერს ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედე-რაციის (IFGW) ორგანიზებითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინის-ტროს, ქალაქ თესალონიკის მერიისა და ქალაქ თესა-ლონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში. ამ ეტაპზე პირველობა მხოლოდ აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გაიმართა და მასში 25-ზე მეტი ქვეყნის ფალავანი მონაწილეობდა. ტურნირის ტრიუმფატო-რები, როგორც მოსალოდნელი იყო ქართველი ფალავ-ნები გახდნენ. **ჩემპიონის ტიტული ონისე ბუღაძემ მოი-პოვა,** ვერცხლის მედალს **საბა ინანეიშვილი** დაეუფლა, ხოლო **ლევან მატიაშვილს** ბრინჯაოს მედალი ერგო.

როგორც ქართული სპორტის ისტორიაზე მომუშავე მეცნიერ-მუშაკმა გადავწყვიტე ჩემი წვლილი შემეტანა ჭიდაობის ეროვნული სახეობის პოპულარიზაციის

საქმეში და მონოგრაფიაში შეძლებისდაგვარად გამეშუქებინა ქართული ჭიდაობის ისტორია შორეული წარსულიდან დღემდე.

მონოგრაფიის დაწერაში ძალიან დიდი სამსახური გამიწია ზოგადად ქართული სპორტისა და, კერძოდ, ქართული ჭიდაობის თემატიკაზე მომუშავე ადამიანების მიერ გამოქვეყნებულმა წიგნებმა, მონოგრაფიებმა, სტატიებმა, ასევე სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულმა მასალებმა და პირადმა კავშირებმა სპორტის სფეროს იმ თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, რომელთა წვლილი ქართული სპორტის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში ძალიან დიდია. ყველა მათგანს უდიდეს მადლობას ვუხდი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მონოგრაფიაში შესაძლებელია იყოს გარკვეული ხარვეზები ან რაიმე უზუსტობები, ამიტომ მადლიერებით მივიღებთ ყველა შენიშვნასა და რჩევას, რომელსაც გავითვალისწინებთ მომავალ მუშაობაში.

გთხოვთ, შენიშვნები გამოაგზავნოთ მისამართზე: jemal.dzagania@gmail.com

შესავალი

საქართველოს სპორტის ისტორია შორეული წარსულიდან რომ იღებს სათავეს ეს ისტორიულად დადასტურებულია, როგორც ქართველი ისე უცხოელი მემატიანეების მიერ.

ქართველ ერს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს და კულტურულ ერს, ჰქონდა ყოველი ეპოქის შესაბამისად განვითარებული ფიზიკური აღზრდისა და სამხედრო მომზადების თვითმყოფადი სისტემა, რომლის ისტორიული ფესვები შორეული წარსულის იმ პერიოდამდე მიდის, როდესაც ადამიანის ფიზიკური და გონებრივი მოღვაწეობა მხოლოდ საარსებო საშუალებების მოპოვებისაკენ იყო მიმართული. მთელი ამ პერიოდის (პალეოლითის) მანძილზე ადამიანის ძირითად და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმიანობას ნადირობა წარმოადგენდა. იმ დროის მკაცრ კლიმატურ პირობებთან ბრძოლა კი, სპეციალური საბრძოლო იარაღების გარეშე, ადამიანისაგან განსაკუთრებულ ფიზიკურ ძალას, გამძლეობას, სიმარჯვესა და გამბედაობას მოითხოვდა.

ჯერ კიდევ პირველყოფილ თემურ წყობილებაში ეყრებოდა საფუძველი სხვადასხვაგვარ მასობრივ თამაშებს, რომლებშიც გარკვეულწილად შეჯიბრების

ელემენტებიც შეიმჩნეოდა. ამ დროის ფიზიკური ვარ-ჯიშები გამოიყენებოდა ჩვენი წინაპრების როგორც შრომით, ისე სამხედრო აღზრდის საქმეში.

საქართველოს მრავალ კუთხეში დღესაც შემორ-ჩენილია ფიზიკური ვარჯიშები და თამაშები, რომლე-ბიც თავიანთი ფესვებით შორეულ წარსულში მიდის.

ქართველმა ერმა საუკუნეების მანძილზე შექმნა ფიზიკური აღზრდის მრავალფეროვანი, სხვადასხვა რეგიონისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სის-ტემები, რომლებმაც სხვა ფაქტორებთან ერთად, უზ-რუნველყო ჩვენი ხალხის სიცოცხლისუნარიანობა, წარმატებული ბრძოლა ეროვნული თვითდამკვიდ-რებისა და თვითშენარჩუნებისთვის.

აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, სამი ათასწლე-ულის მანძილზე, არ ყოფილა ისეთი სერიოზული ძალა ამა თუ იმ სახელმწიფოს სახით, რომლებსაც თავის სტრატეგიულ ინტერესებში არ ჰქონდათ ჩადე-ბული საქართველოს დაპყრობა. ამიტომ, ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში, უძვე-ლესი დროიდან ფიზიკური ვარჯიშები სამხედრო საქმეს უკავშირდებოდა, ფიზიკური აღზრდის სისტემა კი საბრძოლო ხელოვნების დაუფლებას.

ადრეული ხანის საქართველოში ფიზიკური აღ-ზრდის სისტემურ არსებობაზე მიუთითებს ის გარე-მოება, რომ ბერძენი, რომაელი, ბიზანტიელი თუ სხვა

ქვეყნის მოღვაწეები ხშირად აღწერენ ქართული ტომების ცხოვრებას და ბუნებრივია, ანტიკური სამყარო კარგად იცნობდა მათ სამხედრო ფიზიკურ მომზადებას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამ ტომების კარგი ფიზიკური მომზადება დაფუძნებული იყო ვარჯიშების საკმაოდ მდიდარი არსენალის გამოყენებაზე და, აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არ არის, რომ ქართველური ტომები საუცხოო მეომრები იყვნენ.

ამ მოსაზრებას ხაზს უსვამენ და ადასტურებენ თავისი დროის თვალსაჩინო ადამიანების – ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის, იუსტინიანე პირველის კარის ისტორიკოსის, იურისტისა და დიპლომატის **პროკოფი კესარიელის,** ძველი ბერძენი ისტორიკოსის, რომელიც დასავლეთის კულტურაში საყოველთაოდ მოიაზრება, როგორც „ისტორიის მამა – **ჰეროდოტე პალიკარნასელის,** ათენელი ისტორიკოსის, ანტიკური მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის **ქსენოფონტის,** ძველი ბერძენი ისტორიკოსის და გეოგრაფის **სტრაბონისა** თუ ცნობილი ებრაელი ისტორიკოსის **იოსებ ფლავიუსის** ჩვენამდე მოღწეული ჩანაწერები.

მოგვიანებით, სხვადასხვა ავტორები, მათ შორის ქართველი ისტორიკოსები, აღნიშნავდნენ ადრე მონათმფლობელური საქართველოს წარჩინებულების მაღალ სამხედრო ხელოვნებას, მათ გაწვრთნილობას

ცხენოსნობაში, ნადირობაში, მშვილდ-ისრისა და შუბის ტყორცნაში.

მე-VIII საუკუნეში მოღვაწე რუისის მღვდელთმთავარი, ისტორიკოსი **ლეონტი მროველი,** რომელიც ითვლება „ქართლის ცხოვრებაში“ შესული სამი ისტორიული თხზულების ავტორად („ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანცა მამათა და ნათესავთა“, „წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ და „წამებაი წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელ იყო მეფე ქართლისა“), აღწერს, რომ **„მირიან მეფე** იყო მეფე ძლიერი, გმირი და გოლიათი“, **ფარსმან ქველი** – „ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემაერთებელი ბრძოლისა, უშიში, ვითარცა უხორცო“, **ვახტანგ გორგასალი** – „უმშვენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა, რომელ ჭურველი ქუეითი ირემსა მიეწიოს, უპყრას რქა და დაიჭიროს“ (ქართლის ცხოვრება, 1957 წ.).

უძველესი დროიდან ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ქედმოუხრელ ვაჟკაცებსა და განთქმულ მებრძოლებს, მონადირეებსა და მოასპარეზეებს. უწინარესად, ეს ითქმის საქართველოს მთიანეთზე, სადაც ფიზიკურ ძალას, ლამის კულტად სახავდნენ. აქაური ცხოვრების წესი და მკაცრი ბუნებრივი პირობები განსაკუთრებულ წვრთნას, ამტანობასა და გამძლეობას მოითხოვდა.

განსაკუთრებულად დიდი ადგილი ეჭირა ფიზიკურ აღზრდას ქართველ მთიელთა ცხოვრებაში. ფიზიკური მომზადების საშუალებანი მრავალფეროვანი იყო და შეიცავდა: მთაში სიარულს, რბენას, სიგრძეზე ხტომას, ქვის ტყორცნას მანძილზე და მიზანში (ხელითა და შურდულით), მოძრავ თამაშებსა და ცეკვას მუსიკის თანხლებით, თხილამურებზე სრიალს, ფარიკაობას, ისრის ტყორცნას, ცხენოსნობას, ჭიდაობას, ნადირობას.

მნიშვნელოვანია რომაელი ისტორიკოსის **დიონ კასიოსის კოკეინის** (მოღვაწეობდა ჩვენი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებში, 164-229 წლებში), ჩანაწერი იბერიის მეფის, ფარსმან ქველის მხედრული მამაცობის შესახებ.

კასიოს კოკეინი წერდა, – „კეისრის თხოვნით, როცა ომის ღმერთის დღესასწაულზე, იბერთა მეფე, ფარსმან ქველი, დიდებულებთან ერთად რომს ეწვია, მარსის მოედანზე ისეთი ქართული ასპარეზობა გაუმართავს, რომ მაყურებელი განაცვიფრა“. კასიოსის ცნობით, ცხენოსნობაში თვით ფარსმანს არ ჰყოლია ბადალი (აღტაცებულ კეისარს, მარსის მოედანზე იბერთა მეფის ცხენიანი ქანდაკების აღმართვა უბრძანებია), ჭიდაობაში კი მეფისწულ მითრიდატეს უმარჯვია – ჯერ იქაური ფალავნები წაუქცევია, მერე კი ორი გავეშებული ხარიც დაუგდია.

ჩვენამდე მოღწეული წყაროებით დასტურდება, რომ ათლეტთა გამოსაცდელად, სხვადასხვა პერიოდულობით, ხალხმრავალი ასპარეზობებიც იმართებოდა. ცნობილია, რომ ქართველები, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ელინთა ოლიმპიადების მსგავს სპორტულ თამაშებს მართავდნენ.“

აქ უწინარესად იგულისხმება მესხი მკვლევარ-ეთნოგრაფის **ივანე გვარამიძის** მიერ გაზეთ „დროებაში“ (217, 1882 წლის 17 ოქტომბერი) აღწერილი ე.წ. მესხური შეჯიბრებანი, რომელშიც სრულიად საქართველო მონაწილეობდა. ავტორი წერს, რომ „თამაშების პროგრამა „არგოს“ გმირი კაპიტნის იაზონის მიერ იქნა საქართველოში დატოვებული“. ქართული „ოლიმპიური თამაშების“ პროგრამაში შედიოდა ჭიდაობა, კრივი, წრელახტი, რბენა (მათ შორის „ქალთა გაქცევანი“), ბურთაობა, დოღი, ეტლების რბოლა, ბადროს ტყორცნა („ქვის სროლა ფიქალისა“), ლოდების აწევ-დაწევა, ჯირითი, მშვილდოსნობა.

ამგვარი ტურნირების კვალი ჩანს არმაზობის სახალხო დღესასწაულის ქრონიკებში, ცნობილი სანახაობის – **„ყეენობის“** შესახებ შემორჩენილ ცნობებში: „ყეენობის პროგრამაში სხვა სანახაობათა შორის შეტანილი იყო ჭიდაობა, მუშტი-კრივი, ხის ხმლებით ფარიკაობა, შურდულით ქვის ტყორცნა“ **(ვ. აფრიდონიძე, „უშიში, ვითარცა უხორცო“).**

ასეთი სახის დღესასწაულებზე და სხვადასხვა სპორტულ სანახაობებზე მოგვითხრობს თავის მონოგრაფიაში – „ქართული ხალხური დღესასწაული (ბერიკაობა-ყეენობა)“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეთნოლოგი **ჯულიეტა რუხაძე,** რომელიც აღნიშნავს, რომ დღესასწაულზე მასობრივი ხასიათის ჭიდაობა იმართებოდა.

დაფა-ზურნის ხმაზე ორთაბრძოლა იწყებოდა. მესტვირე საჭიდაოს უკრავდა. ჭიდაობის დაწყებამდე, მიუხედავად სიცივისა, მოჭიდავენი წელზემოთ შიშვლდებოდნენ, ერთმანეთს ესალმებოდნენ, კოცნიდნენ და ცეკვავდნენ.

ჭიდაობა ხშირად ხელჩართულ ბრძოლად გადაქცეულა, რომელშიც ხის ხმლები, შურდულები და კეტები იყო გამოყენებული. ჭიდაობა ზოგჯერ მდინარის პირას და მდინარეშიც იმართებოდა. დამარცხებულ ყეენს საგანგებოდ დაგუბებულ ტბაში ჩააგდებდნენ ან ლაფში ამოავლებდნენ“ (ჯულიეტა რუხაძე „ქართული ხალხური დღესასწაული“).

გორის ტრადიციულ ასპარეზობათა აღწერისას, გამოჩენილი ქართველი საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე **ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა** (1849-1932) ყეენობას ოლიმპიადას ადარებს: „დღემდე გააჩნიათ ოლიმპიურ თამაშობათა მსგავსი რამ, რომელიც მოიცავს რბენას, ჭიდაობას, ცეკვებში შეჯიბრებას, მუშტებითა და ხის

ხმლებით კრივს“. მსგავსი თამაშები საერო თუ საეკ-ლესიო დღესასწაულებზე ბევრგან იმართებოდა და პოპულარულიც იყო.

ხალხური სპორტული სახეობებიდან დასავლეთ საქართველოს რეგიონში იმართებოდა ლელობურთი. აღმოსავლეთ საქართველოს უმრავლეს რეგიონში კი პოპულარობით ჭიდაობა სარგებლობდა. გამოირჩე-ოდნენ სახელოვანი ფალავნები: **დათა ხიზამბარელი, კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა, სანდრო კანდელაკი, კოსტა მაისურაძე** და მრავალი სხვა.

სწორედ ქართულ ჭიდაობაზე, მის აღმოცენებაზე და განვითარებაზე, სახელმოხვეჭილ ფალავნებზე უფ-რო დაწვრილებით გვექნება საუბარი მომდევნო თა-ვებში.

თავი I. ქართული ჭიდაობის ისტორია

ქართული სპორტის ისტორიული განვითარების ნამდვილი სურათის წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა ქართული ჭიდაობის ისტორიის გარეშე, რომელიც მოიცავს ყველა საზოგადოებრივ ფორმაციას უძველესი დროიდან დღემდე.

ქართული ჭიდაობა ერთ-ერთი უძველესი სპორტის სახეობაა, რომელსაც თვითმყოფადი კულტურა და ტრადიციები გააჩნია. იგი ჩვენთვის მარტო სპორტის სახეობა არ არის, ის კულტურული მემკვიდრეობა, ჩვენი სიამაყე, ეროვნული საუნჯე და გენეტიკის განუყოფელი ნაწილია.

დღეს ვერავინ დააკონკრეტებს ქართული ჭიდაობის აღმოცენების ზუსტ თარიღს, მაგრამ ქართველი კაცი უხსოვარი დროიდან რომ ჭიდაობდა, ამაზე ნათლად მეტყველებს ისტორიული, არქეოლოგიური და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების, ლიტერატურული წყაროების, ქართველი თუ უცხოელი მემატიანეების ცნობების კვლევებისა და ანალიზის შედეგები, რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ქართულ ჭიდაობას ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში და ოდითაგანვე განიხილებოდა როგორც ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და წრთობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

ქართულმა ჭიდაობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ მეომართა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასა და ფიზიკურ წრთობაში, ის იყო ჩვენი წინაპრების სამხედრო მომზადების ერთერთი ძირითადი სახეობა და მას განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებაში.

სხვა ფაქტორებთან ერთად დიდია ქართული ჭიდაობის როლი, რომ ჩვენი ქვეყანა საუკუნეების მანძილზე იგერიებდა ათასი ჯურის მტრის შემოსევებს, გაუძლო უამრავ სატანჯველს და ჩვენი სამშობლო დღემდე მოიტანა.

ქართული ჭიდაობა ყოველთვის პოპულარული იყო საქართველოში. ჭიდაობდნენ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა თუ ერეკლე მეორის ეპოქაშიც და ჭიდაობენ დღესაც.

ქართული ჭიდაობა თავისი ფორმითა და შეჯიბრების წესებით უნიკალურია და განსხვავდება სხვა ჭიდაობებისგან. მისთვის დამახასიათებელია რაინდული სული. აქ ჭიდაობა მიმდინარეობს დგომში, იკრძალება წაქცეულ და დაჩოქილ მეტოქეზე შეტევა, მტკივნეული და მახრჩობელა ილეთების ჩატარება, შებოჭვა და ფეხებში ხელის წავლება. ილეთები სრულდება მაღალ ტემპში.

ქართული ჭიდაობა ორთაბრძოლის ერთადერთი სახეობაა მსოფლიოში, რომელიც მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს.

ძველ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ პირველწყაროებში, ჭიდაობა „რკენის“ სახელწოდებით არის ცნობილი. **სულხან-საბა ორბელიანი** „სიტყვის კონაში“ ჭიდაობას ასე განმატავს: „კაცი კაცსა რა ეჭიდებოდეს – რკენა ეწოდების“.

ჭიდაობა ნახსენებია მეცხრე საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ძეგლში – „ცხოვრება სვიმონ მესუეტისა“. ჭიდაობის სცენაა გადმოცემული უძველეს თქმულებაში ამირანზე, სადაც გმირი ამირანი უძლეველ ფალავნად გვევლინება.

საფალავნო ამბებზე მოგვითხრობს XII საუკუნეში შექმნილი მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ და იოანე შავთელის „აბდულმესიანი“. „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებში ასახულია უძველესი (მე-13 საუკუნის) ფალავნების სადუნ მანკაბერდელის, მზეჭაბუკ ათაბაგისა და სხვათა საფალავნო ამბები.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროში „მესხურ ქრონიკებში“ მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ სამცხე-საათაბაგოს თავკაცს ყვარყვარეს ხონთქრის ფალავანი დაუმარცხებია, რის გამოც ქრის-

ტიანად დაბრუნებულა სტამბოლიდან **„პატრონი ყვარ-ყვარე ღუთის წინაც შეურცხუენელი და კაცთანაცა, ფალავანი დასცა ხუანთქართანა და ქართველობით გამოეშუა მისის საბატონოს წყალობა ექმნა.“**

საქართველოში ჭიდაობა, მეტწილად, იმ რაიონებში იყო გავრცელებული, სადაც საჭირო იყო თავის დაცვა დამპყრობლებისაგან. აქედან გამომდინარე, ქართულ ჭიდაობას, თავდაპირველად, საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა და სამხედრო მომზადების ერთ-ერთ საფუძვლად იყო მიჩნეული.

ქართული ჭიდაობის სიძველეზე მიუთითებს ალავერდის ტაძრის შესასვლელთან შემონახული XV საუკუნის ბარელიეფი, რომელზეც ქართულ საჭიდაო ჩოხებში მოასპარეზე ორი მოჭიდავის გამოსახულებაა აღბეჭდილი. გვიანდელ ცნობებში, განსაკუთრებით, XVIII-XIX საუკუნეების წყაროებში აღწერილია ქართული ჭიდაობის წესები, ცალკეულ ასპარეზობათა ფრაგმენტები.

მე-13 საუკუნის დასაწყისის ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა მეფე ლაშა-გიორგის დროინდელი მოჭიდავეების – **ქართლელი ხიზამბარელისა** და **კახელი ბებურიშვილის** შერკინების ამბავი.

XV საუკუნის (1479-80 წწ.) მემატიანე მოგვითხრობს **მზეჭაბუკ ათაბაგისა** და თათრების უძლეველ ფალავან

ძალანის ჭიდაობის ამბავს. ეს შეხვედრა 1579 წელს სტამბულში გამართულა და მზეჭაბუკის გამარჯვებით დამთავრებულა, **„აღიყვანა და უპატიოდ მიწასა ზედა დასცა“ სულთანის ფალავანი,** წერს მემეტიანე („ქართლის ცხოვრება“, გვ. 479). ეს ყველაფერი ისე სწრაფად მომხდარა, რომ მაყურებელი ვერაფერს მიმხვდარა და ხელახალი ჭიდაობა მოუთხოვიათ, მაგრამ ძალანს დაუდასტურებია, რომ ყველაფერი წესების სრული დაცვით მოხდაო და პირველს მიულოცია მოწინააღმდეგისათვის გამარჯვება.

„იყო უსჯულოსა მის მთავარსა კაცი ერთი, ფალავანთა თავი, დიდი და გოლიათი, რომელსაც სახელად ძალანი ეწოდებოდა და ჰმატებდა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წყრთა ერთი ანუ უფროსცა, და არავინ გამოჩინებულ იყო სიმრავლესა მას შინა მრკინობელ მისსა – ამან ინება ოდესმე განმცდელობა მზეჭაბუჯისა და ვითარცა ცნა ესე, არღარა ჰყოვნა, არამედ ვითარცა ლომმან მსწრაფლ შექმნა, აღიყვანა და უპატიოდ მიწისა ზედა დასცა.“

ისტორიაში შემორჩენილია ცნობა, ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული სარდლის, **გიორგი სააკაძის ფალავნობის** შესახებ. საქართველოდან ირანში 1612 წელს გადახვეწილი გიორგი სააკაძე შაჰ - აბასის სამსახურში

ჩადგა. შაჰმა, რომელმაც კარგად იცოდა სააკაძის გონებაგამჭრიახობისა და სიმამაცის ამბავი, ხალისით მიიღო სამშობლოდან დევნილი და დაიახლოვა კიდეც იგი. იმდენად დაიხლოვა, რომ, გადმოცემით, დიდი მოურავის გარეშე პურს არ ტეხდა და გამუდმებით თან ახლდა. სააკაძეც „მორჩილად“ უმშვენებდა მხარს ირანის „ლომს“.

მართალია, შაჰს ბევრი ცნობები ჰქონდა სააკაძის სიძლიერეზე და დევგმირობაზე, მაგრამ ეჭვი მაინც არ ასვენებდა და ცდილობდა საკუთარი თვალით ენახა მისგან რაღაც განსაკუთრებული.

ეს ჟამიც დადგა, ერთ დღესაც, შაჰ აბასის ბრძანებით, ისპაჰანის მთავარ მოედანზე ჭიდაობა გაიმართა. სპარსელებმა თავიანთი დაუმარცხებელი გოლიათი გამოიყვანეს. მას პაექრობა მხოლოდ ქართველებთან მოუსურვებია. ჩვენი ფალავნები რიგრიგბით გადიოდნენ საჭიდო არენაზე, მაგრამ უძლეველმა სპარსმა ყველა მათგანი სათითაოდ გააკრა ბეჭებზე. სპარსელთა სიხარულის ყიჟინა ცას წვდებოდა, სპარსელი კიდევ მოითხოვდა გამოსულიყვნენ მასთან საჭიდაოდ, მაგრამ მსურველი აღარ ჩანდა. მაშინ შაჰმა გიორგი სააკაძეს უბრძანა გოლიათთან დაჭიდება. ქართველს უარი არ უთქვამს, საჭიდაო ჩოხა გადაიცვა და საჭიდაო ხალიჩაზე შევიდა. ორთაბრძოლა დიდხანს

არ გაგრძელებულა. მისალმების დამთავრებისთანავე სააკაძემ სპარსი ფალავანი მაღლა აიტაცა და მოჭრილი კუნძივით ორივე ბეჭებით დაანარცხა ძირს.

ქართულ ჭიდაობაზე მოგვითხრობს საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მეფის, **ერეკლე მეორისა** და ახალგაზრდა ფალავნის – **გიორგი დუღაისძის** ჭიდაობის ამბავი. ბოდბისხევის წმინდა მარიამის ეკლესიასთან, ქართველებს „**ნეიშნის მინდორში**“ ლეკებზე გამარჯვების აღსანიშნავად საჭიდაო ასპარეზი გაუმართავთ.

ამ დღესაწაულზე იმ ბრძოლის გმირი, **15 წლის ერეკლე ბატონიშვილიც მიუწვევიათ,** მაგრამ უფლისწულს უარი შეუთვლია, შეუძლოდ ვარო. სამაგიეროდ ვერცხლით მოჭედილი ხანჯალი გაუგზავნია გამარჯვებული ფალავნის დასაჯილდოვებლად. ამ ასპარეზობის აშკარა ფავორიტად გიორგი დუღაისძე გამოიკვეთა. მას უკვე ხუთი კაცი წაექცია ახალ მეტოქეს ელოდა, მაგრამ მსურველი აღარ იყო. რამოდენიმე წუთიანი ლოდინის შემდეგ მსაჯებმა გადაწყვიტეს ერეკლეს გამოგზავნილი ხანჯალი მისთვის გადაეცათ, მაგრამ უეცრად წრეში პირშებურვილი ჭაბუკი გამოსულა – მე დავეჭიდები ფალავანსო. დუღაისძე კუნთმაგარი უცნობის გამოჩენას დაუფრთხია და უარი

განუცხადებია, ჩემზე ტანმორჩილია და არ დავეჭიდებიო. ამ ამბის შემსწრე ადგილობრივი მამასახლისი ძალიან განრისხებულა და დამუქრებია ფალავანს, არ იჭიდავებ და საჯაროდ ჩამოგკიდებ მუხის ტოტზეო. სხვა გზა არ ჰქონდა დუღაისძეს და დათანხმდა ჭიდაობას.

შერკინება დაიწყო პირშებურვილი ჭაბუკის შეტევით, დუღაისძე მიხვდა, რომ ვერაფერს მოუხერხებდა უცნობს. ამიტომ დაუშვებელი ილეთით ბეჭებზე დააგდო მეტოქე. გიორგიმ წაქცეულ მეტოქეს სახიდან საბურავი მოხსნა და ყველანი გაოცებულები დარჩნენ – მათ წინ ერეკლე ბატონიშვილი იწვა!

საბურველის მოხსნისთანავე ბატონიშვილს იქვე მდგომი გულშემატკივრისთვის მახვილი გამოუტაცია და დუღაიძისაკენ გაქანებულა, ჩემი წაქცევისთვის კი არა მოტყუებისათვის უნდა დავსაჯოო. მის თანმხლებ პირებს ძლივს დაუშოშმინებიათ აღელვებული ბატონიშვილი. მის მიერ გამოგზავნილი ხანჯალი მამასახლისისათვის მიუცია და უთქვამს: „ეს ჯილდო გადაეცი სოფლის ფალავანს, მაგრამ იცოდეს, სადმე არ შემომეყაროს, თორემ უსათუოდ წავაცლი თავს“.

არსებობს კიდევ ერთი ლეგენდა თუ როგორ გადაარჩინა ერეკლე მეფემ ჩვენი ქვეყანა მტრის შემოსე-

ვისაგან. ერთ-ერთ ყაენს თავისი ურიცხვი ჯარით საქართველოზე გალაშქრება განუზრახავს. უკვე ხანში შესულ მეფეს ყაენისთვის შეუთვლია ჭიდაობა გავმართოთ და ვინც გაიმარჯვებს ომში გამარჯებულიც ის გახდესო.

ყაენს ეს წინადადება მიუღია, რადგან უფიქრია, რომ ასაკოვან მეფე ერეკლეს ადვილად დაამარცხებდა, სისხლის ღვრასაც ააცილებდა თავის მეომრებს და გამარჯვებაც მას დარჩებოდა. დაუნიშნავთ ჭიდაობის დრო და ადგილი. ერეკლე მეფეს, ბავშვობაში ნასწავლი ქართული მოგვერდით, ორივე ბეჭებით მიწაზე გაუკრავს მოწინააღმდეგე.

ქართული ჭიდაობა, ძირითადად, ქართლისა და კახეთის სოფლის წიაღში დაიბადა და შეჯიბრებები, ამ სოფლების საერო თუ საეკლესიო დღესასწაულებზე იმართებოდა. თუმცა საქართველოს სხვა კუთხეებშიც იმართებოდა თავიანთი ჭიდაობები (იმერეთში – **საბეჭურით ჭიდაობა და გიმრაობა;** რაჭაში – **ღოჯური;** ხევსურეთში – **მუქასრისა, მოშ და მოშ;** გურიაში – **ჭედობა და ტეკობა;** სამეგრელოში – **რკინება, მოგორდია;** მთიულეთში – **იღლი ღორა;** საინგილოში – **ქამარ-ქამარ;** ქართლ-კახეთში **იყო ასევე მაჯურა, თვალახვეული მკერდობა;** სვანეთში – **ლიბურძგალი;** აჭარაში –

მატეკვრობა; არსებობდა ასევე მესხური ჭიდაობა და სხვა).

მე-19 საუკუნის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე საკმაოდ დეტალურად და უხვადაა წარმოდგენილი ჭიდაობასთან დაკავშირებული მოვლენები. იმ პერიოდის ბეჭდვითი პრესა („ივერია“ „დროება“ და სხვ.) დიდ ყურადღებას უთმობდა ქართულ ჭიდაობას.

ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები **ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, დანიელ ჭონქაძე** და სხვ. ჭიდაობის დიდი გულშემატკივრები ყოფილან.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ჭიდაობის ცენტრად თბილისი იქცა, სადაც თავს იყრიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის გამოცდილი ფალავნები. სპეციალურად ამ მიზნით საჭიდაო მოედნებიც კი არსებობდა. თავიდან ასეთი საჭიდაო მოედანი ყოფილა მთაწმინდაზე, რომელიც მოგვიანებით დიდუბის ერთ-ერთ ბაღში გადაუტანიათ, ამას გარდა საჭიდაო მოედნები („კრუგები“) არსებობდა ვერაზე „ფიქრის გორაზე“, მაშინდელ ელისაბედის ქუჩაზე (ახლა წინამძღვრიშვილის ქუჩა), ავლაბარში, ნაძალადევში (ხუდადოვის ტყის მახლობლად), ელიას ზევით – მახათაზე. ცნობილმა მოჭიდავემ ნესტორ ესებუამაც

გამართა საკუთარი „კრუგი“, რომელსაც სამეგრელო დაარქვა და ა.შ.

მე-20 საკუნის დასაწყისში ჭიდაობის შეჯიბრებებს ხელმძღვანელობდნენ და მსაჯობდნენ სახელგან-თქმული მომღერალი **ვანო სარაჯიშვილი, პოეტი ბეჩარა, არბიტრი ვანო ჩიბალოვი, სახელგანთქმული იურისტი შალვა მესხიშვილი, ცნობილი ყარაჩოღელი გიორგი (გოლა) ლეჟავა, მეტსახელად „ბაბაჭუა“ და სხვა.**

ქართული ჭიდაობის პირველი თაობის უძლიერესი ფალავნები

თავი II. ქართული ჭიდაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები (XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველი ნახევარი)

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის გამოკვეთილი იყვნენ ხალხისათვის ისეთი საყვარელი ფალავნები, როგორებიც იყვნენ: **დათა ხიზამბარელი, კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა, კოსტა მაისურაძე, დათა ავლაბრელი, იოსებ ცერაძე, ალექსანდრე ეგნატაშვილი, ვანო ქიზიყელი („კამბეჩუა“), ვანო მიდელაური, სანდრო კანდელაკი, ვანო აბულაშვილი, ირაკლი კახელი, შაშო და გიორგი ვერელები, იოსებ ჯიმითელი (გეთიაშვილი), კოლია ქვარიანი, გიორგი ჯიბგირი, მიხა ქურხული და სხვები,** რომლებიც დიდი წარმატებით ასპარეზობდნენ არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ **პარიზის, პეტერ-ბურგის, თეირანის, სტამბოლისა და ბრიუსელის დიდ ტურნირებზე,** სადაც დამარცხებული ჰყავთ უცხოეთის არაერთი სახელოვანი მოჭიდავე.

თბილისში საჭიდაოდ ჩამოდიოდნენ ე.წ. „გასტრო-ლიორები“ ინდოეთიდან, რუსეთიდან, პოლონეთი-დან, თურქეთიდან, ირანიდან, ფინეთიდან და იაპო-ნიიდან.

დათა ხიზამბარელი

1849 წელს დაიბადა კასპის რაიონის სოფელ ნოსტეში. უძლეველი ქართველი ფალავანი. დიდი ფიზიკური ძალის პატრონი, გამოირჩეოდა შეუპოვრობით და იშვიათი ოსტატობით. ხიზანბარელს ძლიერი დაკუნთული სხეული ჰქონდა. საშუალო ტანის და წელში ოდნავ მოხრილი, შესამჩვევი იყო მოკლე კიდურებით. ის მე-19 საუკუნის ყველაზე ძლიერი ფალავანი ყოფილა. გამოირჩეოდა ქართული ილეთების მდიდარი არსენალითა და მათი უბადლო შესრულებით, განსაკუთრებით ჰყვარებია დგომში კისრული. არენაზე გააფთრებული გამოვარდნა ცოდნია თურმე, რაც მაყურებელს ძალიან მოსწონდა.

ხიზამბარელის თანამედროვე, ცნობილი ქართველი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი და პუბლიცისტი ანტონ ფურცელაძე 1867 წელს გაზეთ „დროებაში“ წერდა: „მე ამ დღეობაში ვნახე ერთი თვრამეტი-

ცხრამეტი წლის მოჭიდავე. არ შეგიძლიან წარმოიდგინოთ მისი სისხარტე ჭიდაობაში. რამდენნაირი ხერხი და ოსტატობა აქვს გამზადებული თავისი მოწინაღმდეგების წასაქცევად. ვისაც ხიზამბარელის ჭიდაობა უნახავს, ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, სადამდის განვითარებულა ჩვენში ჭიდაობა“.

დათა ხიზამბარელი განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით ყოფილა დაჯილდოვებული, რომელთაგან უმთავრესი – ღირსების დიდი გრძნობა იყო. საჭიდაო მოედანზე მეტოქის სახელსაც ისევე უფრთხილდებოდა, როგორც საკუთარს.

ერთხელ ხიზამბარელთან საჭიდაოდ წრეში პირველად ერთი ახალგაზრდა კახელი გამოსულა. ჯერ გულადად მდგარა, მაგრამ ვეფხვივით გამოვარდნილი ხიზამბარელი რომ დაუნახავს, შეშინებულა, დაწოლილა და უთქვამს: არ ვეჭიდებიო. გაბრაზებულა ხიზამბარელი, „შე ლაჩარო! ვინ ქართველი და ვინ შიშიო! ადე დამეჭიდე, თორემ მოგკლავო“, შეუგულიანებია დათას, წამოუყენებია და დაუწყიათ ჭიდაობა. კახელი მაგარი ბიჭი გამომდგარა და კარგა ხანს გაუძლია ხიზამბარელისთვის. დათას ორჯერ უცდია მისი კისრულით გადმოტანა, მაგრამ ვერ მოუხერხებია. ბოლოს დაუძახია, გაგვაშველეთო და გაუშველებიათ.

დათას კახელი გადაუკოცნია და წაუჩურჩულებია: „კაი ბიჭი ყოფილხარ, ცოდოა შენი გალახვაო“.

მეორე ამბავი ხიზამბარელის განსაკუთრებულ თვისებაზე მიუთითებს. იმ დროისათვის თბილისში ირანელ ვაჭარს მოჭიდავე ჩამოუყვანია, რომელსაც დიდი წარმატებით შემოევლო მცირე აზია და ახლა თავისი უძლეველობის დასამტკიცებლად საქართველოსაც სწვევია. გასაოცარი ფიზიკური ძალის და აღნაგობის ყოფილა ეს ირანელი, რომელიც თურმე ორფუთიან ლოდებს ბურთივით ათამაშებდა.

თბილისში, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულან სახელისა და ჯილდოს მაძიებელი ფალავნები, მაგრამ უცხოელი მოჭიდავე ვერავის დაუჯაბნია. როგორც ამბობენ ოთხმა დღემ ისე განვლო, რომ ირანელმა ყველა ქართველი მოჭიდავე (დაახლოებით 30-35 კაცი) დაამარცხა. შეფიქრიანებულან ქალაქის მესვეურები. ხუმრობა საქმე იყო? ვიღაც გადამთიელმა ერთიმეორის მიყოლებით ყველა ქართველი ფალავანი დაამარცხა. უკვე საჭიდაოდ არავინ გადიოდა. ირანელი კი გაიძახოდა თურმე ან ჩემი შესადარი დამაჭიდეთ ან ჩემი წონა ფული მომეცით და შინ ისე გამისტუმრეთო!

შეფიქრიანებულა ჭიდაობის დიდად მოყვარული პოეტი გრიგოლ ორბელიანიც, ნუთუ, არავინ არის

საქართველოში ისეთი, რომ ამ ირანელის ჯავრი ამოგ-ვყაროსო. ვიღაც უთქვამს ერთი ბიჭი ვიცით და იმას მოვიყვანთო. მოიყვანეს დათა ხიზამბარელი. ირანელს შეუხედავს დათასთვის და გაუცინია „ილოცე გურ-ჯოო!“ ხიზამბარელს გული მოსვლია, თავის სტილში გააფრთებული ეძგერა თურმე, ზურგზე მოუგდია და რამოდენიმე წამში ორივე ბეჭებით გაუკრია მიწაზე. გაოგნებული ირანელი გონზე არ იყო „ეს როგორ იქნებაო? განა ეს ჭიდაობაა, მე მხოლოდ მივესალმეო“. დააჭიდეს მეორედ და ამჯერადაც დასცა ხიზამბა-რელმა გოლიათი მოწინააღმდეგე. ამ პაექრობაში გა-მარჯვებისთვის საჩუქრად რაც მიიღო ხიზამბარელმა, შუაზე გაუყო თათარ მოჭიდავეს.

ერთხელ დათა ხიზამბარელს კულა გლდანელის ბიძა შერკინებია, დასტაკებია დათა და ზურგზე შე-მოუგდია გლდანელი. დაგდება ვერ მოუსწრია, გლდა-ნელის მომხრეები, გედეონისშვილები მიცვენილან და ხელიდან რომ ვერ წაუგლიჯით, კეტებით სასტიკად უცემიათ. თან ხმებიც დაუყრიათ, თითქოს გლდა-ნელმა იმარჯვაო. „გალახვამ თქვენი ჭირი წაიღოს, იმას არ ვჩივი, მაგრამ სახელის გატეხვა უსამართლოდ მიმ-ძიმსო. გლდანელი დამაჭიდეთ რომ დავანახო ქვე-ყანას, რა ფალავანიც არისო“ – შეუჩივლია ხიზამბა-რელს გრიგოლ ორბელიანისათვის.

შეხვედრა გამართულა მთაწმინდაზე, რომელსაც ბევრი გულშემატკივარი და მათ შორის გრ. ორბელიანიც დასწრებია. ხიზამბარელს, რამოდენიმე წამში თავისი საყვარელი ილეთით – „დგომში კისრულით“, ბეჭებზე გაუკრავს გლდანელი.

მოგვიანებით, 1888 წელს, გაზეთი „ივერია“ ასე ახასიათებდა ხიზამბარელს: „საქართველოში ბევრი გამოჩენილი ფალავანი ყოფილა, მაგრამ ხიხამბარელივით კი სახელი არავის გაუთქვამს. თითქმის სახალხო გმირად გადაიქცა. ტანზე, სადაც არ უნდა მოგევლო ხელი, იტყოდი თუ ხე არისო, ანუ ქვა და არა ხორცი. ზეზე კისრული იცოდა და რაღა-კი წამოიღებდა, იტყოდა ხოლმე „ახლა თუ გინდათ ხარ-კამეჩიც მოუბით, ვეღარ შეიმაგრებთ, გადავიტანო“.

დასანანია, რომ ამ ახალგაზრდა კაცს მხოლოდ 25 წელი უცხოვრია. არსებობს მისი გარდაცვალების ტრაგიკული ისტორია. ერთ-ერთ დღესასწაულზე ქართულ ჭიდაობასთან ერთად სხვა შეჯიბრებებიც გამართულა. მას მერე, რაც ჭიდაობაში ყველა დაუმარცხებია, მისულა იქ, სადაც ცხენი თამაშდებოდა. რაში იმის ხვედრი იყო, ვინც უნაგირს ზემოდან უმძიმეს ლოდს გადასტყორცნიდა. ცხენის მსურველი მრავლად ყოფილა, მაგრამ ამოცანის შემსრულბელი – ვერავინ. მისუ-

ლა ჭიდაობით დაღლილდაქანცული დათა, დასჭიდებია უზარმაზარ ლოდს გაჭირვებით, მაგრამ მაინც გადაუგდია ცხენს ზემოდან. გახარებული ფალავანი მყისვე შემოახტა მას და შინისკენ გააჭენა, მშობელ დედას გავახარებ პრიზითა და გამარჯვებითო. მისულა, დედას ჩახუტებია, თავისი ამბავი უცნობებია და იქვე განუტევა სული.

კულა გლდანელი

მე-19 საუკუნის მიწურულს თბილისში ჭიდაობის სანახავად საკმაოდ დიდი რაოდენობის გულშემატკივარი იყრიდა თავს. ასპარეზობა კვირა დღეობით იმართებოდა და ამიტომაც იყო განსაკუთრებულად ხალხმრავლობა. ჭიდაობა მუშტაიდთან ახლოს, „ახალი იტალიის“ ბაღში იმართებოდა, სადაც საასპა-რეზოდ გამოდიოდნენ როგორც საყოველთაოდ აღიარებული ისე ახალგაზრდა ფალავნები.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში თბილისის ცირკში საქველმოქმედო ჭიდაობა გამართულა, რომელსაც დიდძალი ხალხი დასწრებია. პირველად ამ ასპარეზობაზე იხილა ქართველმა მაყურებელმა ცნობილი მოჭიდავე – გლდანელის ძმისშვილი კულა (ივანე ყირიმელაშვილი), რომელსაც შემდგომში **„კულა გლდანელის“** სახელით იცნობდნენ. ამ ასპარეზობაზე მას საკმაოდ ცნობილი მოჭიდავენი დაუმარცხებია და უძლიერესის სახელი მოუპოვებია.

კულა გლდანელი დაიბადა 1858 წელს თბილისის შემოგარენის სოფელ გლდანში. ის იმ დროინდელი

ეპოქის ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი იყო. თბილისის უბნებში (ორთაჭალა, ფიქრისგორა, დიდუბე, ჩუღურეთი) და სხვაგან მას ბადალი არ ჰყავდა. ერთიმეორეზე ამარცხებდა ცნობილ ფალავნებს. კულა გლდანელი პირველი იყო ქართველებს შორის, რომელმაც თბილისში ეგრეთ წოდებული საჭიდაო წრე (კრუგი) დააარსა, სადაც თავს იყრიდნენ ამიერკავკასიის საუკეთესო ფალავნები. წლების მანძილზე (ნესტორ ესებუასთან შეხვედრამდე), კულა გლდანელს საქართველოს დაუმარცხებელი ფალავნის სახელი ჰქონდა. იგი ძალიან ღონიერი და მოქნილი მოჭიდავე ყოფილა. ქართული ჭიდაობის ნამდვილი ოსტატი. წარმატებით გამოდიოდა ამიერკავკასიისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გამართულ შეჯიბრებებში.

კულა გლდანელი დაუმარცხებელ ფალავნად იყო მიჩნეული XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. მისი სახელი სისტემატურად ჩნდებოდა მე-19 საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე.

გაზეთი „დროება“ 1882 წლის N202 ნომერში წერდა: "მშვენიერი, თვალტანადი გლდანელი, ვიწრო ჩოხა შემოწურული, სწორედ გმირსა ჰგავს, როდესაც გამოვა მოედანზე. მისი ამაყი, დარწმუნებული სიარული, მედიდური მიხვრა-მოხვრა, განიერი და ძარღვიანი გულ-მკერდი, მართლაც სასიამოვნო სანახავია“.

იგივე „დროება“, 1882 წლის 16 ივნისს უფრო დაწვრილებით წერდა კულა გლდანელის და ღოღაძის შერკინების შესახებ.

„ორი-სამი თვეა, რაც გაითქვა გლდანელის სახელი. ამ ხნის განმავლობაში, რაც კი ჩვენში საუკეთესო მოჭიდავეები იყო, ყველა დაამარცხა. ამბობდნენ, ამის ტოლი მოჭიდავე საქართველოში ახლა აღარ მოიპოებაო. ამ დროს საიდგამღაც იყო გაისმა ღოღაძის სახელი; – თუ მოერევა, ის, თორემ სხვა იმედი არ არის, ხაზამბარელობას დაიმკვიდრებსო. ჩამოიყვანეს ეს ღოღაძეც. პირველი შეტაკება გასულ შაბათს მოხდა დიდუბეში. მაგრამ არც ერთის მხრით არ დარჩენილა გამარჯვება. რადგან პირველი ჭიდილი არაფრით გათავდა, მეორეჯერ გუშინწინ, ორშაბათს, უნდა შებმულიყვნენ და ვინც დასძლევდა, დაფნის გვირგვინი და პირველობა იმისი იქნებოდა. საღამოს ხუთი საათიდამ დიდუბის მინდორი გაივსო ცხენოსნებით, ფაიტონებით, დროგებით და უანგარიშო ქვევითა ხალხით. პოლიცმეისტერი თავის მოხელეებით ციბრუტივით დატრიალებდნენ, წრეს აკეთებდნენ. შვიდ საათზე ყველაფერი მზათ იყო: მშვენიერ სურათს წარმოადგენდა დიდი, უშველებელი წრე, მწვანე მინდორზე გარშემო მუხლმოკეცილი ხალხი, შემდეგ

ფეხზე მდგომნი, ამათ უკან ფაეტონებზე და დროგებზე, კიბეებზე მდგომი ხალხი. წრეს შიგნით მხოლოდ წარჩინებული ქართველი თავადიშვილები, რამდენიმე ღენერლები, კნეინები და დიდძალი ყმაწვილკაცობა. დაუკრეს ჭიდილის ზურნა. ხალხში მოძრაობა შეიქნა. ერთის მხრიდგამ გამოვიდა ღოღაძე, მეორედგან გლდანელი. უეცრად, თვალმა ვერც კი მოასწრო ამის შეხედვას, გლდანელმა ორივე ხელი ჩასჭიდა თავის მოწინააღმდეგეს. სანამ ეს მოწინააღმდეგე ხელის წავლებას მოასწრობდა, ჩაუჩოქა, მოიდვა ეს ამოდენა კაცი ზურგზე, კისრით წამოიღო და მთელი ზურგით, პირაღმა გაშხლართა მიწაზე. ყველა ამას სწორედ იმდენი დრო მოუნდა, რამდენიც თვალის დახამხამებას მოუნდება ხოლმე. ასე რომ, ბევრმა ვერც კი მოისაზრა – სიზმარში მოეჩვენა ეს უეცარი მოვლენა, თუ ცხადშიო. გლდანელს კოცნა, „ბარაქალა, ბიჭო!“ ოც თუმანზე მეტი“.

საინტერესოა ბრიტანელი დიპლომატისა და მთარგმნელის, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1919–1921) გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი წარმომადგენლის, ჯონ ოლივერ უორდროპის მიერ გამოქვეყნებული წიგნი, რომელიც მოგვითხროდა პატარ-პატარა ისტორიებს

საქართველოში მოგზაურობის შესახებ (ოლივერ უორ-დროპი, იყო „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად პირ-ველი მთარგმნელის, მარჯორი უორდროპის ძმა). თავის წიგნში ოლივერ უორდროპი წერდა: „მე წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება დავსწრებოდი ერთ საუცხოო შეჯიბრებას, სადაც ფალავანი გლდანელი შეება ვინმე მამაც იმერელ მოჭიდავეს. ჭიდაობა უაღ-რესად საინტერესო გამოდგა და ამავ დროს დიდად მეამა, როცა აფიშიდან გავიგე, რომ შეჯიბრების მთელი შემოსავალი განკუთვნილი იყო ვიღაც ჭაბუკის დასახ-მარებლად, რომელსაც სათანადო სახსრები არ გააჩნდა პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად“.

ოლივერ უორდროპი დასწრებია 1883 წელს თია-ნეთში გამართულ ერთ დიდ შეჯიბრებას ქართულ ჭიდაობაში, რომელიც კულა გლდანელს მოუწყვია მე-გობრების დახმარებით და აქ შემოსული თანხა მთლი-ანად ვაჟა-ფშაველასთვის გადაუცია, რამაც პოეტს სა-შუალება მისცა პეტერბურგში წასულიყო სასწავლებ-ლად.

გადმოცემის მიხედვით, კულა გლდანელი ხშირად ეხმარებოდა ობოლ ბავშვებსაც.

კულა გლდანელი 76 წლის ასაკში, 1934 წელს გარ-დაიცვალა.

ნესტორ ესებუა

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი უძლიერესი ქართველი ფალავანი, **ნესტორ ესებუა,** დაიბადა 1864 წელს სენაკის რაიონის სოფელ სორტაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. გაჭირვების გამო სკოლა მიატოვა და 18 წლისამ ბათუმში, „როდშილდის“ ქარხანაში, მტვირთავად დაიწყო მუშაობა.

გაბრიელ ბარჯაძე თვის წიგნში „საქართველოს რომ ფალავნები ჰყოლია“ წერს: “მევალე მედუქნეს ნესტორსათვის უთქვამს: ქარხნიდან კალა მომიტანე და ვალსაც იმაში გაგიქვითავო. ნესტორს ნაბდის ქვეშ ამოუჩრია ორი ყუთი კალა და ქარხნიდან მალულად გამოუტანია. მედუქნესთან მისულს მის ცხვირწინ დაუგდია კალის ყუთები. დიდხანს ეჯაჯგურა თურმე მედუქნე იმ ყუთებს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. თვითონ ნესტორს დაუწყვია ისინი სასწორზე, 16 ფუთი და 2 გირვანქა გამოსულა. ვალიც გაუსტუმრებია და კიდევ

დიდხანს უსაუზმია იმ დუქანში მუქთად, კალის ხარჯზე“.

საჭიდაო ასპარეზზე მისი გამოსვლები 1885 წლიდან იწყება. იმ წელს ბათუმში ჩასულა საქვეყნოდ აღიარებული მოჭიდავე კულა გლდანელი, რომელსაც მოუწყვია დიდი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. მას ზედიზედ 12 მოჭიდავე დაუმარცხებია და მომდევნო მეტოქის მოლოდინში იყო, მაგრამ არავინ ჩანდა. სწორედ ამის მერე სთხოვეს ნესტორს გლდანელთან შეხვედრა. ნესტორი, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად გამოუცდელი იყო, დათანხმდა. ეს შეხვედრა 14 აპრილს გაიმართა და ყველასათვის მოულოდნელად ახალბედა ნესტორ ესებუას გამარჯვებით დასრულდა. მოგვიანებით მათი დაპირისპირება ტრადიციულ კლასიკად გადაიქცა. ეს წყვილი კიდევ 4-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ყველა ამ შეხვედრიდან გამარჯვებული ნესტორ ესებუა გამოსულა.

მათი ყველაზე გახმაურებული შეხვედრა, 1886 წლის 1 აგვისტოს თბილისში „იტალიელების ბაღში“ გამართულა.

ამ შეხვედრაზე გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს მოწინააღმდეგეებმა. შეტაკებაში პირველმა გლდანელმა წააქცია ესებუა, მან ისე

რიხიანად დაატრიალა ის, რომ ყველას ეგონა, მიწიდან მოწყვეტს და ჰაერში აისვრისო, მაგრამ ახალგაზრდა მოჭიდავე გამაგრდა და საპასუხოდ დასცა მოწინააღმდეგე პირქვე, მაგრამ კულა მალე წამოხტა ფეხზე, მივარდა ესებუას გამხეცებული და კისრულით დასცა მიწაზე, მხოლოდ ერთი მხარით. ესებუას დამარცხება ვერც ამჯერად შესძლო გლდანელმა, ისინი ორივენი წამოდგნენ ფეხზე და განაგრძეს ჭიდაობა. კულამ მეორედ გადმოიტანა კისრულზე ნესტორი მაგრამ მაინც ვერ შესძლო მისი საბოლოოდ დამარცხება. ისინი ხელმეორედ წამოდგნენ ფეხზე და მესამედ შეეჯახნენ ერთმანეთს. ახლა კი გაცეცხლებული მეგრელი ვეფხვივით მივარდა კულას და დასცა ბეჭებზე, რითაც მოიპოვა საბოლოო გამარჯვება. აკაკი წერეთელმა მესტვირული ლექსი უძღვნა ამ შერკინებას:

გამოდის კულა გლდანელი მხარბეჭა და შიშველია,
ჯეირანივით ნავარდობს, მაღლა ხტის როგორც შველია,
ტანზედაც ერბო წაუსვამს, რომ ვერ მოავლონ ხელია,
გარს ახვევია ამქრები, სუყველა მისი მშველია.

მეორე მხრიდან მეგრელი გამოძვრა როგორც ტურაო,
რომ დაინახა გლდანელი ლომივით მიაშურაო,
მკლავებში ხელი მოავლო და ერბომ აიცურაო,
კინაღამ უცბად გაფუჭდა და ბედმა მოიმდურაო.

განზე გადუხტა მატყუარს, სისწრაფით მოიშორაო.
ამბობს, ხელს ვერსად ვკიდებ, რა ცუდად მომაღორაო.
მივარდა, გულში ხელი ჰკრა, ბურთივით გააგორაო.
ვეფხვივით ზურგზე დაახტა, დათვივით მოიტორაო.

ქვეშ დევს, ფართხალობს გლდანელი, ცდილობს ზე წამოდგომასა.
ზემოდან მტკვალავს ნესტორა, თითქო იღებდეს ზომასა.
თან ეუბნება დაცინვით: კულა ნუღარ სწევ შრომასა,
უფრთხილდი თან არ გადაყვე შიშსა და გულისწყრომასა.

ფეხებში ხელი მოჰკიდა, თავდაღმა დააყირაო,
საცეცხლურივით დაკმევა ოთხკუთხივით დაუპირაო.
იმისი მაყურებელი სუყველა გააკვირაო,
კულა გლდანელის მომხრენიც უწყალოდ აატირაო.

ნესტორ ესებუა ქართული ჭიდაობის ტრადიციული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. დიდ ძალასთან ერთად გააჩნდა საოცარი სისწრაფე და გამოიჩეოდა ჭიდაობის რაინდული მანერით. ფლობდა ტექნიკური ილეთების საკმაოდ მრავალფეროვან არსენალს, იშვიათი ოსტატობით ასრულებდა კისრულს, ჩოქელას, შუა სარმას, გარეკაურსა და სხვა ილეთებს.

სხვადასხვა დროს დამარცხებული ჰყავს საქართველოსა და უცხოეთის არაერთი სახელოვანი მოჭიდავე, მათ შორის: რუსი პროფესიონალები – კლემენს ბული, გეორგ ლურიხი და ივან პოდდუბნი, ბოსნიელი სარი სულეიმანი, ოსი კაზბეკ გარა და სხვები.

ის წარმატებით გამოდიოდა პეტერბურგის, თეირანის, სტამბოლისა და ბრიუსელის დიდ ტურნირებში. პერსონალურად იყო მიწვეული პარიზის საერთაშორისო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ შეჯიბრებაში, რომელშიც მსოფლიოს 300-ამდე საუკეთესო მოჭიდავე მონაწილეობდა. ნესტორს დამაჯერებლად დაუმარცხებია 10 მეტოქე და სამშობლოში სოლიდური ფულადი ჯილდოთი (1000 ფრანკი) და ოქროს ჟეტონით დაბრუნებულა.

საინტერესო ცნობას გვაწვდის სტამბულში გამართულ შეჯიბრებაზე გაბრიელ ბარჯაძე: „საჭიდაოდ გამოდიოდნენ პოლონელი პეტლიზინსკი, ბულგარელი ნიკოლა ჰეტრე, თურქი ჰაებაშთი, ქართველი ცერაძე, მაისურაძე, მიდელაური, ესებუა, აგრეთვე ემილ ფორი და სხვები. საჭიდაოდ უხმეს ბერძენ გოლიათს, ოცი ფუთის ამწევ, 132 კილოგრამიან პანიას კუტალიანის და ნესტორ ესებუას. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ერთთავად დამრგვალე-

ბული ბერძენის პირისპირ ხმელ-ხმელი, გრძელ-მკლავა ესებუა ცოტა სასაცილოდ გამოიყურებოდა. დაიწყო თუ არა ორთაბრძოლა, ნესტორი იერიშზე გადავიდა. ვეფხვივით უტევდა მეტოქეს და მალიმალ ჩოგბჯენში გადაჰყავდა ბერძენი გოლიათი. მეოცე წუთზე ესებუამ ბერძენის მარჯვენა მკლავი იგდო ხელთ, უცებ შემოტრიალდა, კისრულზე წამოიღო და ორივე ბეჭით გააკრა ხალიჩას. ტაშის გრიალმა შეაზანზარა დარბაზი. სულთანის ვაჟმა ნესტორს 50 ლირა აჩუქა. მსაჯებმა კი ძველი დროის წესის თანახმად, ქართველ ფალავანს მკერდზე საპატიო ლენტი გაუკეთეს“.

წარმატებული საჭიდაო კარიერის დასრულების შემდეგ, ნესტორ ესებუამ ხელი მწვრთნელობას მიჰყო. სხვადასხვა დროს შეჯიბრებებს აწყობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (სამტრედიაში, სურამში, ჭიათურაში, ქუთაისში და სხვაგან).

ნესტორ ესებუა გამოირჩეოდა ასევე ქველმოქმედებით; 1919 წელს ჭიდაობიდან აღებული ფულიდან 400 მანეთი შესწირა სენაკის სკოლის მშენებლობას. ფულით ეხმარებოდა წითელი ჯვრის საზოგადოებას.

გარდაიცვალა 1931 წლის 7 აგვისტოს, 67 წლის ასაკში.

კოსტა მაისურაძე

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი, კოსტა მაისურაძე დაიბადა 1881 წელს ონის რაიონის სოფელ ცხმორში, თუმცა სოფელ წედურას მაცხოვრებლები მას თავისიანად თვლიდნენ, რადგან კოსტას მამა წარმოშობით წედურიდან ყოფილა. თანასოფლელები, პატარაობიდან, მის განსაკუთრებულ ძალაზე ლაპარაკობდნენ. ხშირად ისეთ საქმეს შეეჭიდებოდა, რომ მის ასაკს არ შეეფერებოდა.

ახალგაზრდა კოსტა მაისურაძე მთელი დღე ყანაში მუშაობდა, შებინდებისას კი სავარჯიშოდ გარბოდა. ხანდახან ღამეებსაც კი ათენებდა, მაგრამ დილით ისევ თანასოფლელებთან ერთად შრომობდა.

16 წლის ყოფილა კოსტა, როდესაც საცხოვრებლად თბილისში ჩამოსულა და პურსაცხობში დამხმარე მუშად დაუწყია მუშაობა. ერთ საღამოს ყველა მცხო-

ბელი სახლში წასულა და საცხობში მარტო დარჩენილა, რომ დილისათვის ცომი მოეზილა. საქმის მოთავების შემდეგ კარის ჩასაკეტი ბოქლომი ვერსად უპოვია და კარები ღიად რომ არ დარჩენოდა იქვე, დაახლოებით 12-13 ფუთის (200 კგ-მდე) უზარმაზარი ქვის ლოდი აუღია და საცხობის კარზე მიუყუდებია. დილით მოსულან პურის მცხობელები, ყველანაირი ცდა, მოეცილებინათ ეს ლოდი კარებისათვის, წარუმატებელი აღმოჩნდა, ამასობაში კოსტაც გამოჩენილა, ღიმილით აუწევია ეს უზარმაზარი ლოდი და თავის ადგილას დაუდია.

არის მეორე ვერსიაც: ერთ დუქანთან დიდი ქვა ყოფილა, რომელსაც მოქეიფეები თურმე მაგიდად იყენებდნენ. კოსტას ეს ლოდი სავარჯიშოდ მოსწონებია და ერთ ღამეს მოუკიდებია ზურგზე და სახლში წაუღია. მეორე დღეს ატეხილა ერთი ამბავი. დუქნის მეპატრონეს ეჭვი მაშინვე კოსტაზე მიუტანია. დაუძახია მისთვის – შენს მეტი ამას ვერავინ იზამდა და ქვა დააბრუნეო. კოსტასაც ქვა უკან დაუბრუნებია.

ერთხელ, სოფელ ცხმორის ახლოს, ლერწუანში გამართულ ზეიმზე, კოსტა მაისურაძეს რკინის კეტი დაუხვევია მაჯაზე. ამ სანახაობით გაოგნებულ ერთ მაყურებელს მისთვის ლექსიც კი მიუძღვნია:

ეს რკინა ისე დავგრიხე,
ვით მოზელილი თასმაო,
მაყურებელი კვირობდა:
შეხედეთ, კოსტამ რა ქნაო.

ამბობენ, 1911 წელს ქუთაისში ძალოსანთა შეჯიბრება ჩატარებულა. კოსტა მაისურაძის პატივსაცემად გამართულ შეხვედრაზე გუბერნატორს უნახავს მის მიერ მკლავზე გადანაგრეხი რკინა და უთქვამს, ცრუობთ, კაცი ამის დაგრეხას როგორ შეძლებდაო. ამის შემსწრე კოსტას ახალი რკინა მოუთხოვია და გუბერნატორის თვალწინ დაუგრეხია 32-მილიმეტრიანი სისქის რკინა, რომელიც დღეს ონის მუზეუმში ინახება.

სიძლიერის გამო კოსტა მაისურაძეს „რკინისმკვნეტელი“ რაჭველი შეარქვეს. გადმოცემის თანახმად, კოსტა 32-კილოგრამიან გირებს ჰაერში ბურთივით ისროდა და მერე ხან კისრით იჭერდა და ხანაც მკერდით.

კოსტა მაისურაძე პირველად საჭიდაო არენაზე 21 წლის ასაკში, 1902 წელს გავიდა. თბილისის ცირკის პატრონმა ნიკიტინმა მაისურაძე მოსკოვში წაიყვანა,

სადაც მოკლე ხანში დაეუფლა ფრანგული ჭიდაობის ილეთებს. დიდი წარმატებით გამოდიოდა თბილისში, კიევში, პეტერბურგში, გროზნოში, მოსკოვში, კისლოვოდსკში გამართულ შეჯიბრებებში, სადაც მრავალი სახელგანთქმული ფალავანი დაამარცხა, მათ შორის: კლემენტი ბული, „კაზბეკ-გორა“, პაველ ზაგორუიკო, ივანე ზაიკინი, ნიკოლოზ ვახტუროვი, ალიოშა გრამილოვი, გრიგორი კაშჩეევი და სხვა. მოიპოვა გამარჯვებები მოუპოვებია ირანში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუმინეთში გამართულ ტურნირებში.

განსაკუთებით უნდა აღინიშნოს მისი გამარჯვება საქვეყნოდ აღიარებულ იოსებ ცერაძეზე. ამ ორთაბრძოლაზე მაშინდელი პრესა წერდა: „ჭიდაობაზე დასასწრებად მთელი ქალაქი შეკრებილა, კახელი თავადებიც ჩამოსულან და არბიტრი გაუფრთხილებიათ, თუ ვინმეს მხარი დაიჭირე“, ვაი შენი ბრალიო. თბილისში მცხოვრებ ყველა რაჭველს მიუტოვებია საქმე და ფიქრის გორაზე შეკრებილან თავიანთი კუთხის შვილის მხარდასაჭერად. შერკინება ახალგაზრდა კოსტა მაისურაძის გამარჯვებით დასრულებულა“. ამ გამარჯვებას თბილისელებმა სიმღერაც კი მიუძღვნეს:

უბედურო ცერაძეო, რა გინდოდა ვერაზეო,
არ იცოდი, წაგაქცევდა კოსტა მაისურაძეო?

1910 წელს თბილისის ცირკში ჩატარებულა საკმაოდ წარმომადგენლობითი შეჯიბრება, რომელშიც ქართველი ფალავნების გარდა მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი უცხოელი მოჭიდავეები. კოსტა მაისურაძეს ყველა მეტოქე დიდი უპირატესობით დაუმარცხებია.

ქართველ ფალავანს ბევრჯერ უსახელებია თავისი ქვეყანა საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქებში. იგი დაჯილდოებული იყო ოქროს მედლებით, სხვადასხვა სამახსოვრო ჯილდოებითა და ქამრებით ირანის შაჰის, ბუხარის ემირის, რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების საცირკო ხელოვნების მესვეურების მიერ.

რუსეთში, დიდ საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვების შემდეგ კოსტა მაისურაძისათვის მოოქროვილი საფალავნო ქამარი რუსეთის იმპერატორის მეუღლეს - მარიას, პირადად გადაუცია.

კოსტა მაისურაძე პირველი ქართველი ფალავანი იყო, რომელმაც მსოფლიო საჭიდაო (და ძალოსნობის) ასპარეზზე გაიტანა ქართველი კაცის სახელი. ტრიუმფით იმარჯვებდა ევროპასა და აზიაში, აღიარებული იყო მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად.

სამწუხაროდ, კოსტა მაისურაძე ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან. 1918 წელს ბაქოში ჩავიდა ერთ-ერთ

ტურნირში მონაწილეობის მისაღებად და იქ, იმ პერიოდისათვის საკმაოდ გავრცელებული და უკურნებელი ავადმყოფობა – ტიფი შეჰყრია. თბილისში დაბრუნების შემდეგ მოკლე დროში გარდაიცვალა, როცა ის მხოლოდ 37 წლისა იყო.

2019 წელს ონში, **გიგა ჯაფარიძის** სახელობის სკვერში **კოსტა მაისურაძის** ბიუსტი გაიხსნა, რომელიც

სრულიად საქართველოს მაისურაძეთა საგვარეულო კავშირის ინიციატივითა და სახსრებით შეიქმნა და დაიდგა უძლეველი რაჭველი ფალავნის გარდაცვალებიდან 101 წლის შემდეგ.

იაკობ ეგნატაშვილი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი, იაკობ ეგნატაშვილი, დაიბადა 1858 წელს გორის მაზრის სოფელ რუისში. მისი ძმები, ზაქარია, მიხაკა, იასე და კიკა ეგნატაშვილებიც საკმაოდ ცნობილი ფალავნები იყვნენ, მაგრამ იაკობი მათგან გამორჩეული იყო.

ცნობილი ქართველი მწერალი და პულიცისტი გელა ჩარკვიანი თავის წიგნში: „ინტერვიუ მამასთან“ (გელა ჩარკვიანის მამა, კანდიდ ჩარკვიანი, 15 წლის განმავლობაში, 1938-1953 წლებში საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო): მოგვითხრობს: 1882 წელს, მუხრანბატონს, იაკობი მუხრანში მიუწვევია, რომ მის ფალავანს, კულა გლდანელს დასჭიდებოდა. 24 წლის იაკობი თავიდანვე დაწინაურებულა და რამოდენიმე წამში, თავისი უსაყვარლესი ილეთით – „მოგვერდით“ ბეჭებზე დაუცია სახელგანთქმული გლდანელი. მსაჯები ამას არ ელოდნენ და მუხრანბატონის რისხვის ასარიდებლად ერთხმად განუცხადებიათ „ბეჭები არა აქვს დადებულიო“ და ჭიდაობა გააგრძელეს. იაკობს

მეორედაც წაუქცევია კულა, მაგრამ მსაჯებს კვლავ იგივე გაუმეორებიათ ,,ბეჭები არა აქვს დადებულიო“. გამოსულა იაკობი და უთქვამს: ,,მე კი წავაქციე და თქვენ როგორც გინდათ ისე იანგარიშეთო“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მისი საყვარელი ილეთი „მოგვერდი“ ყოფილა. ყველამ იცოდა, თუ მოწინააღმდეგეს მოგვერდზე მოიგდებდა, ის დამარცხებისათვის განწირული იყო. ამის გამო ხალხში თქმულებად დარჩა: „გაშოროს ეგნატაშვილის მოგვერდიო“.

გელა ჩარკვიანს თავის წიგნში მოჰყავს მამამისის ნაამბობი, რომელიც თურმე სტალინს მოუყოლია: „ამილახვარს თავისი მამულის ყარაულებად მოწვეული ჰყოლია ჩეჩნები, რომელთაგან შეურჩევიათ ფალავანი. მწერალ სოფრომ მგალობლიშვილის ორგანიზატორობით მოუწყვიათ შეჯიბრება. მაღალი, წნელივით ტანწერწეტა ჩეჩენი ფალავანი გამოიყვანა ამილახვარმა, იქვე, გამარჯვებულისათვის პრიზი გამოიტანა და ხალხს მიმართა: ,,ვინ დაეჭიდებაო?“ სთხოვეს იაკობს რომ დაჭიდებოდა. ,,ხეხელა ბიჭიაო – უთქვამს – მაგას არ დავეჭიდები. ჯერ კიკა დაეჭიდოს, თუ წააქცია, მერე სიმონი დაეჭიდოს, თუ ისიც წააქცია მაშინ დავეჭიდებიო“. გამოვიდა კიკა. დაბალი, სქელი. გაიარეს, გამოიარეს, ეცნენ ერთიმეორეს და სულ სამ წუთში დასცა კიკამ ის ჩეჩენი. ასე, რომ არც სიმონს და არც იაკობს არ დასჭირვებია ჭიდაობა. ასე მომიყვა სტალინმა.“ უთქვამს კანდიდ ჩარკვიანს.

გორში იაკობს ღვინის ბიზნესი ჰქონდა. იგი ფლობდა ვენახებს ატენში და ხიდისთავში. ის იმდროისთვის ითვლებოდა დიდვაჭრად.

იაკობი არა მხოლოდ ფალავნობით იყო ცნობილი, არამედ გამორჩეული თამადაც ყოფილა. იმასაც ამბობენ, რომ როდესაც რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე საქართველოს სტუმრობდა, იგი ამილახვართანაც ყოფილა და იმპერატორის საპატივსაცემად გაშლილი სუფრისთვის სწორედ იაკობ ეგნატაშვილს უთამადიაო.

იაკობი სტალინის მშობლების, ბესარიონ ჯუღაშვილისა და ეკატერინე გელაძის მეჯვარე იყო. ამასთან, იაკობს, სტალინის დაბადებამდე, მისი ორი უფროსი ძმაც მოუნათლავს, თუმცა ორივე ბავშვი ჩვილობის ასაკში გარდაცვლილა. ამიტომ მესამე შვილი იაკობისთვის აღარ მოუნათვლინებიათ, თუმცა ახლო ურთიერთობა არ გაუწყვიტავთ. ეგნატაშვილებთან თავად სტალინსაც არ გაუწყვეტია კავშირები და იაკობის შვილები ვასო და ალექსანდრე მოსკოვში წაუყვანია და საკმაოდ წარმატებული კარიერაც აუწყვია მათთვის.

ჟურნალისტი ვასილ ბალახაძე თავის წიგნში, რომელიც ქართული ძიუდოს ერთ-ერთ ფუძემდებელს, გურამ პაპიტაშვილს მიუძღვნა („ქართული ძიუდოს პაპა“), იხსენებს ბატონ გურამის მიერ მოყოლილ ამბავს, რომელიც გიორგი ეგნატაშვილისა და მის ურთიერთობას ეხებოდა.

„გიორგი ეგნატაშვილი სტალინის სიცოცხლეში კრემლში დაცვის სამსახურში მაღალ თანამდებობაზე იყო, თუმცა სტალინის გარდაცვალების შემდეგ გიორგის თანამდებობა დაატოვებინეს და გაუშვეს სახლში. მოგვიანებით საკავშირო სპორტკომიტეტში დააბრუნეს. ჭიდაობა და ძალოსნობა ებარა მას და შესაბამისად, ჩვენ ხშირად გვიწევდა ურთიერთობა-ამბობს ბატონი გურამი. როდესაც უცხოეთიდან მოვიდოდა შეტყობინება, რომ მაგალითად საფრანგეთის ნაკრებს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა სურდა, დამიძახებდა გიორგი ეგნატაშვილი და მეტყოდა:-გურამ, გორში ჩამოვლენ ფრანგები (ჩეხები, გერმანელები და ა.შ.), გამოუყვანე შენი ბიჭები და ეჭიდავეთ. თქვენგან არაფერი არ გვჭირდება მატერიალური ხარჯი ან სხვა ასეთი, ყველაფერს ჩვენ უზრუნველვყოფთ. მხოლოდ არენაზე დაუდექით და მოსაგებად იბრძოლეთო. მეც ვაკეთებდი ისე, როგორც საჭირო იყო. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი სპორტსმენების კლასის ამაღლებასაც დიდად უწყობდა ხელს“.

იაკობ ეგნატაშვილი 72 წლის ასაკში, 1930 წლის 1 იანვარს გარდაიცვალა თბილისში. მისი ანდერძის თანახმად დიდი პატივისცემით მშობლიურ გორში დაუკრძალავთ.

ვანო ქიზიყელი (აბულაძე)

ვანო აბულაძე დაიბადა 1872 წლის 5 აგვისტოს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუ-გაანში.

ახალგაზრდა ვანო თბილისში ჩამოსუ-ლა და მუშაობა ღვინის სარდაფში დაუწყია. ერთხელ ქალაქგარეთ, თბილისთან ახლოს, გამართულ ჭიდაობის ტურნირში მიუღია მონაწილეობა და ამ უცნობ ყმაწვილს ყველა მეტოქე დაუმარცხებია. ეს ჭიდაობის მესვეურებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და თბილისის ცირკში მიუწვევიათ.

ის სხვა ფალავნებისგან გამორჩეოდა არა მხოლოდ ჭიდაობით, არამედ განსაკუთრებული თვისებითაც. ყველა შეჯიბრებაზე ფანდური დაჰქონდა და მის დაწყებამდე სხვებზე ადრე მიდიოდა. ასპარეზობის მომლოდინე მაყურებელს ფანდურის დაკვრითა და სხვადასხვა მისამღერით ართობდა.

ნიკიტინის ცირკში მიწვევის შემდეგ დაიწყო მისი წარმატებული კარიერა. სისტემატურად მონაწი-ლეობდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ გამართულ თითქმის ყველა შეჯიბრებაში. თბილისში გარკვეული პერიოდი ის არალეგალურად ცხოვრობდა, რადგან როგორც რევოლუციური მოძრაობის მხარდამჭერი, იდევნებოდა.

როგორც თითქმის ყველა ფალავანს, მასაც მეტსახელებით მოიხსენიებენ, ხან ქიზიყელს, ხან კამბეჩუას ეძახდნენ.

ათლეტური აღნაგობის, ვანო აბულაძეს საუცხოო ტექნიკა ჰქონია. ისეთი ღონიერი ყოფილა, რომ მუყაოსავით ღუნავდა რკინისა და ლითონის სხვადასხვა საგნებს. ქართული ჭიდაობის გარდა საკმაოდ მაღალ დონეზე ფლობდა სხვადასხვა ქვეყნების ჭიდაობებს.

გამოჩენილი სანკტ-პეტერბურგელი პროფესიონალი მოჭიდავისა და მწვრთნელის, ივან ლებედევის, ხელმძღვანელობით, ქართველთაგან პირველმა შეისწავლა ჭიდაობის ფრანგული, თურქული, რუსულ-შვეიცარიული, თავისუფალი ამერიკული, იაპონური და ჩინური ჭიდაობის ხერხები.

რუსეთის მრავალ ტურნირებში იღებდა მონაწილეობას და ყველგან შთამბეჭდავად იმარჯვებდა. მას მოგებული აქვს რუსეთის უმაღლესი დონის 12

ტურნირი, სადაც მრავალი ჯილდო, ოქროს დიდი მედლები და ვარსკვლავები მოიპოვა. ამის გამო ამ ჯუგაანელ კაცს „რუსეთის უძლეველი ფალავნის“ სახელიც კი მიანიჭეს.

ვანო აბულაძემ თითქმის ნახევარი მსოფლიო შემოიარა, უასპარეზია საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, ბელგიაში, ესპანეთში, იაპონიაში, ჩინეთში, მონღოლეთში, ავღანეთში, ირანში, ამერიკაში და ყველგან წარმატებით, ამ ქვეყნების საჭიდაო არენებზე წარმატებული გამოსვლების გამო მას – „ჰერკულესი“ შეარქვეს.

ნიშანდობლივი და ხაზგასასმელია ისიც, რომ ნებისმიერ ქვეყანაში საასპარეზოდ ყველგან ქართული ჩოხა-ახალუხით გამოდიოდა.

ვანო აბულაძემ საქართველოს სპორტის ისტორიაში პირველმა, თბილისში, 1922 წელს დაარსა ფიზკულტურის სკოლა.

გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, 1948 წელს.

იოსებ გეთიაშვილი (ჯიმითელი)

დაიბადა 1891 წელს, გურ-ჯაანის რ-ნ სოფელ ჯიმითში.

იოსებ გეთიაშვილი (ჯიმი-თელი) მე-20 საუკუნის პირ-ველი ნახევრის ერთ-ერთი გამორჩეული და სახელოვანი მოწიდავე იყო. ქართულ ჭი-დაობაში მას დაუმარცხებელ და ბეჭდაუდებელ ფალავანად მოიხსენიებდნენ. მას უამრავი ჯილდო აქვს მოპოვებული როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სამშობლოში დამარცხებული არასოდეს დაბრუნებულა. იმდროინდელი პრესა, რომელიც სისტემატურად აშუქებდა დედაქალაქში გამართულ საჭიდაო ტურნირებს, აღწერილია თუ როგორ დაამარცხა ჯიმითელმა ერთმანეთის მიყოლებით საქვეყნოდ აღიარებული ფალავნები – თედო ლილოელი და შაშო ვერელი. ბოლოს იოსებ ჯიმითელმა თბილისში, ნიკიტინების ცირკში, 1924 წელს იჭიდავა და კარიერა დაასრულა.

გარდაიცვალა 83 წლის ასაკში,1974 წელს.

სანდრო კანდელაკი

დაიბადა 1893 წლის 6 ოქტომბერს, დღევანდელი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიჩბისში. ყმაწვილობაში მოჯამაგირე იყო, შემდეგ მდინარე ქსანზე მებორნედ მუშაობდა. 18 წლის ასაკში გაიწვიეს ჯარში და მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. ომსგადარჩენილი დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს და რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა.

დროდადრო თბილისში ჩამოდიოდა და მონაწილეობდა ცირკში გამართულ საჭიდაო ტურნირებში. სანდრო კანდელაკი გამორჩეული აღნაგობის კაცი იყო. ორი მეტრი სიმაღლის სანდრო 170 კილოგრამს იწონიდა.

სანდრო კანდელაკის მწვრთნელი, ლუკა დადიანიძე, საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე ყოფილა. მათ ერთმანეთი 1913 წელს გაუცვნიათ. სწორედ ლუკა დადიანიძის ინიციატივით, დიდუბეში „იტალიელების ბაღში“, მოხდა სანდრო კანდელაკისა და „შავი ნიღაბის“ შეახვედრა. ამ შეხვედრაში კანდელაკმა

იოლად შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება. 1915-1916 წლებში, თავისი მწვრთნელის თაოსნობით სანდრო კანდელაკი, სხვა მოჭიდავეებთან ერთად, ტურნეს მართავს სპარსეთში, ოსმალეთსა და საფრანგეთში.

სანდრო კანდელაკს, საჭიდაო კარიერის მანძილზე, ბევრი ცნობილი მოჭიდავე ჰყავს დამარცხებული, მათ შორის: სახელგანთქმული ივან პოდუბნის მოსწავლე და მისი დასის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელი ციმბირელი ივან ზაიკინი და რუსი პროფესიონალი მოჭიდავე გეორგ ლურიხი, რომელმაც 1901 და 1902 წლებში ჰამბურგსა და რიგაში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ფრანგულ ჭიდაობაში (იგი ასევე იყო მსოფლიო ჩემპიონი ცალი ხელით სიმძიმეების აწევაში).

ცალკე უნდა გამოვყოთ სანდრო კანდელაკისა და რუსული წარმოშობის უკრაინელი პროფესიონალი მოჭიდავის, ივან პოდუბნის, შერკინება. როგორც ცნობილია ივან პოდუბნი ამ პერიოდისათვის უკვე იყო მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ფრანგულ ჭიდაობაში.

ცალკეული შერკინებების გარდა, პოდუბნის 40 წლის განმავლობაში არცერთ მნიშვნელოვან ჩემპიონატზე არ წაუგია, რისთვისაც „ჩემპიონების ჩემპიონი“ შეარქვეს. ამ ორი გოლიათის, სანდრო კანდელაკისა და

ივან პოდუბნის შერკინება 1923 წელს გაიმართა აზერ-ბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში. პირველი შეხვედრა ფრედ დასრულდა, მეორეში კი ჩვენმა ფალავანმა იმარჯვა.

სანდრო კანდელაკი, მიუხედავად იმისა, რომ ფრან-გული ჭიდაობის ილეთებს სრულყოფილად ვერ ფლობდა, მაინც ამ სტილით ასპარეზობდა და დიდი ღონის წყალობით თითქმის ყველა შერკინებაში გამარ-ჯვებული გამოდოდა.

სანდრო კანდელაკი გადაღებულია ქართულ ფილ-მებში: „ხანუმა“ (1926), „ჯანყი გურიაში“ (1928), „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (1933), „ქაჯეთი“ (1936), „მეგობრობა“ (1940), „ქაჯანა“ (1941).

იგი 1959 წელს, 66 წლის ასაკში გარდაიცვალა.

1976 წელს მცხეთაში გაიხსნა, მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილის მიერ შესრულებული, მისი ძეგლი.

კოლია (კოლა) ქვარიანი

ლეგენდარული ქართველი მოჭიდავე, მსახიობი და მოჭადრაკე, კოლია ქვარიანი, წარმოშობით ლეჩხუმელი, დაიბადა ქუთაისში.

პროფესორ რუსუდან დაუშვილის კვლევების მიხედვით, ქვარიანის დაბადების თარიღად 1900 წელია დადგენილი. ამ ვერსიას ამაგრებს ის გარემოება, რომ ქალბატონი რუსუდანი წლების განმავლობაში ოყო საქართველოს პარლამენტში ლევილიდან და ჰარვარდიდან ჩამოტანილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივზე მომუშავე საგანგებო ჯგუფის წევრი. ავტორია წიგნების: „ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში“ „ქართული ემიგრაცია 1921-1939“ და „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“.

ახალგაზრდა მოჭიდავემ, კოლია ქვარიანმა, რომელიც პირველად მონაწილეობდა 1921 წელს ბაქოში გამართულ საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირზე,

წარმატებით იასპარეზა და დაამარცხა იმ პერიოდის აღიარებული მოჭიდავეები – პავლე ზაგორუიკო, ილია მურომეცი, ერმაკოვი, მაკაროვი, იაუმზე, გვოზდოვსკი და სხვები.

1924 წელს, უკვე ცნობილი ახალგაზრდა პოეტების პაოლო იაშვილის და კოლაუ ნადირაძის ინიციატივით, ქუთაისში იუბილე გადაუხადეს გამოჩენილ ქართველ ფალავანს ნესტორ ესებუას. საიუბილეო საღამო დააგვირგვინა მოჭიდავეთა ასპარეზობამ, რომელიც კოლა ქვარიანის ტრიუმფად იქცა, მან ყველა მეტოქე დაამარცხა და უძლიერსის ტიტული მოიპოვა.

ქვარიანს დიდი დამსახურება მიუძღვის 20-იანი წლების ქუთაისში ახალგაზრდა ფალავნების დაოსტატების საქმეში. მას აღზრდილი ჰყავდა არაერთი სახელოვანი ფალავანი, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონი ანტონიო როკა, რომელიც შემდეგ იშვილა.

1927 წლის დამვლევს, ქვარიანი საცხოვრებლად მოსკოვში გადადის. იმავე წელს, ივან პოდუბნის, კოლა ამერიკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე წაუყვანია. შემდეგ ამერიკიდან ინგლისში ჩასულა, ლონდონში გიმნაზიელ მეგობარ, მერაბ კვიტაშვილს შეხვედრია, რომელიც იქ 1919 წლიდან ცხოვრობდა. როცა ლონდონში კოლა ქვარიანის წაუქცეველი ფალავანი აღარ დარჩა,

კანადაში მიუწვევიათ, კოლას აქაც ყველა მეტოქე დაუ-მარცხებია. შემდეგ ის აშშ-ში დაბრუნდა და დარჩა საცხოვრებლად. აქ მან სწრაფად გაითქვა სახელი, როგორც ძლიერმა ფალავანმა. იმავე წელს კოლა ქვა-რიანმა ერთი მეორის მიყოლებით დაამარცხა ამერიკე-ლების უძლიერესი მოჭიდავეები: **ჟოზეფ ტოტსმონდი, მონდი ბეროკი** და მსოფლიოში „მახრჩობელას“ სახე-ლით ცნობილი **ედ ლუისი.**

ედ ლუისთან გამარჯვებისათვის, ჰონორარის სა-ხით, ქართველმა ფალავანმა იმ დროისათვის საკმაოდ დიდი ჰონორარი (200 ათასი დოლარი) მიიღო. აღნიშ-ნული თანხით მან შეიძინა სასტუმრო, გახსნა საჭიდაო დარბაზი და საჭადრაკო კლუბი.

კოლა ქვარიანი წარმატებით აგრძელებდა პროფე-სიონალი მოჭიდავის კარიერას, 1931 წლის 21 იანვარს ის შეხვდა ჯონ კლუკსტორს. ეს უკანასკნელი ამერი-კელთა კერპი, საკმაოდ ტიტულოვანი სპორტსმენი იყო, თუმცა ქართველ ფალავანთან ვერაფერი გააწყო და დამარცხებულმა დატოვა ლეიბი. ქვარიანმა ამ გამარჯვებისათვის საკმაოდ დიდი თანხა მიიღო.

1932 წელს ქართველმა მოჭიდავემ დატოვა შეერ-თებული შტატები და საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა, სადაც 1939 წლამდე დაჰყო. ამ პერიოდში

მან იქორწინა წარმოშობით ბულგარელ სიდონია ნოვაკზე, გახსნა ქართული რესტორანი, სადაც თავს იყრიდნენ, როგორც ქართველი ემიგრანტები, ისე მე-20 საუკუნის 30-იანი წლების სახელოვანი სპორტსმენები. იგი პარალელურად წარმატებით აგრძელებდა მონაწილეობას მოჭიდავეთა დიდ საერთაშორისო ტურნირებში. გამოდიოდა ინგლისის, გერმანიის, პოლონეთის, შვედეთის და საბერძნეთის მაღალი რანგის შეჯიბრებებში.



კოლა ქვარიანმა მთელ ევროპაში გაითქვა სახელი, როგორც უძლეველმა და დაუმარცხებელმა ფალავანმა. ყველა ხაზს უსვამდა მის არადამიანურ ძალას. ამბობდნენ, რომ ერთხელ მას სპილოც კი აუწევია.

გაზეთი „პარისუარი“ წერდა: „ჩვენი ნაციონალური მოჭიდავე – ბ. დეგლანი წააქცია დათვისმაგვარმა უხეშმა ყაზახმა, ნიკოლოზ ქვარიანმა“, რაზეც კოლიას პროტესტის შემდეგ გაზეთს ბოდიში მოუხდია: „ქვარიანი ქართველია და არა ყაზახიო“. პარიზელი ქართველები მოხიბლული იყვნენ მისი ღირსებებით -

თავმდაბლობით, სიკეთითა თუ სტუმართმოყვარეობით.

1939 წლის ბოლოს, მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, კოლია ქვარიანმა დატოვა ევროპა და კვლავ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა და ნიუი-ორკში დასახლდა.

აღსანიშნავია მისი შერკინება, 1950 წელს, სახელგანთქმულ ამერიკელ პროფესიონალ მოჭიდავე ჯინ სტენლისთან. ეს ათლეტი თავის ქვეყანაში „მისტერ ამერიკის“ ტიტულს ფლობდა.

კოლა ქვარიანისათვის ეს იყო პროფესიონალთა ტურნირებზე უკანასკნელი შერკინება. როგორც იმდროინდელი ამერიკული პრესა იუწყებოდა, ეს დაპირისპირება იყო ამერიკის ოქროს ერის 10 საუკეთესო მატჩიდან ერთ-ერთი.

1958 წლის 5-17 აპრილს საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები ამერიკაში შეხვედრებს მართავდა და ნიუი ორკში, სსრკ ნაკრებში მიწვეული იყო სახელგანთქმული სანდრო კანდელაკის ვაჟი ოთარი, რომელიც შეხვდა ლეგენდარულ კოლია ქვარიანს და მის შვილობილს ანტონიო როკას. ალექსანდრე კანდელაკთან, კოლა ქვარიანს კარგი მეგობრობა აკავშირებდა და ძალიან გახარებული ყოფილა, მისი შვილის გაცნობით.

საჭიდაო ტურნირებში გამოსვლების დასრულების შემდეგ ქვარიანმა მსახიობობა დაიწყო.

1952 წელს მან ითამაშა ჰარი ფოსტერის ფილმში „Columbia World of Sports 4806: Rasslin' Rogues“, სადაც შეასრულა რუსი მოჭიდავის როლი.

აღსანიშნავია, რომ კოლია ქვარიანი სახელგანთქმული ამერიკელი რეჟისორისა და პროდიუსერის, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ნოვატორი კინემატოგრაფის, სტენლი კუბრიკის მეგობარი ყოფილა და ცნობილ რეჟისორს რამდენიმე დოკუმენტურსა თუ მხატვრულ ფილმშიც გადაუღია.

კოლია ქვარიანი 80 წლის იყო, როდესაც ხუთმა პუერტორიკოელმა ჩხუბში გამშველებელი მოხუცი დაუნდობლად სცემა. 1980 წლის 7 იანვრის შობა ღამეს მომხდარი ინციდენტის შემდეგ, მას დიდხანს არ უცოცხლია, სტეიტენ აილენდის საავადმყოფოში გარდაიცვალა 1980 წლის 17 თებერვალს.

კოლია ქვარიანი ქუთაისში თეთრ ხიდთან ცხოვრობდა. მისი სახელის პატივსაცემად, თეთრ ხიდთან მდინარე რიონში არსებულ ქვებს, ქვარიანის ჩქერებს უწოდებენ. ქუჩას კი სადაც ის ცხოვრობდა მისი სახელი დაერქვა.

შაშო ვერელი



ალექსანდრე კახნიაშვილი, იგივე შაშო ვერელი, დაიბადა 1881 წელს მცხეთის რაიონ სოფელ ქსოვრისში.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ის იყო ერთერთი უძლიერესი და სახელმოხვეჭილი მოჭიდავე. შაშო ვერელს ჭიდაობის განსხვავებული მანერა ჰქონდა. საჭიდაოდ თამამად, წელში გამართული გადიოდა. საჭიდაო ილეთებს მუდამ სწრაფად და მოხდენილად ასრულებდა. მისი საყვარელი ილეთები ჩოქელა სარმა, კისრული და დგომში მოგვერდი იყო. ჭიდაობის დასაწყისშივე მთელი სისწრაფით გაექანებოდა მეტოქისაკენ და ისე ძლიერად გამოჰკრავდა სარმას, რომ მეტოქე იშვიათად თუ გაუმაგრდებოდა.

შაშო სულ ყმაწვილი იყო, 17-18 წლისა, რომ თბილისის უბნებში (ფიქრის გორაზე, ხუდადოვის ტყეში, ხოჯევანაქსა და ვაკეში) გამართულ ჭიდაობებში გამოდიოდა როგორც მოხალისე.

პირველად საჭიდაო მოედანზე ის 1906 წელს გამოჩნდა. თავისი ცხოვრების მანძილზე მას ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება აქვს მოპოვებული ისეთ ცნობილ ფალავნებთან, როგორებიც იყვნენ ლუკა დადიანიძე, გიორგი ოდიშვილი, კოტე და ვასო ცალქალამანიძეები, ნიკო ტიღაშვილი.

საინტერესოდ აქვს აღწერილი შაშოს ჭიდაობის ერთ-ერთი ეპიზოდი მ. ხერხეულიძეს თავის მოგონებაში. „კარგად მახსოვს ასეთი ეპიზოდი: ერთმა სახელგანთქმულმა ვექილმა საგანგებოდ იმოგზაურა კახეთში, სადაც ორი საუკეთესო მოჭიდავე შეარჩია, თბილისში ჩამოიყვანა და თითქმის ორ კვირას გაძლიერებით კვებავდა, – საჭიდაოდ ამზადებდა. პირველად უმცროსი აჭიდავა, შაშომ იგი წააქცია. ვექილმა გული არ გაიტეხა და რამდენიმე დღის შემდეგ ჯერი უფროსზე მიდგა. ვექილმა ბევრი თავისი ამხანაგი მოიწვია რომ კარგი ჭიდაობა ენახებინა. გამოვიდნენ შაშო და მისი მეტოქე – ახოვანი ფალავანი, გვარად გიჟივანიშვილი. ხელის ტაცება და გიჟივანიშვილის ნახერხზე გაშლა ერთი იყო. გაწიწმატებული ვექილი

სარბიელზე გადახტა და შესძახა – არ არის! ეს უნ-დოდათ მაყურებლებსაც და მეორედ დაჭიდება მოი-თხოვეს. შაშო დაეთანხმა. მან გააქან-გამოაქანა გიჟი-ვანიშვილი, შეიგდო ბეჭებზე, ვექილის წინ დაახეთქა და თან შესძახა: – „ეხლაც არ არის კნიაზჯან?“.

დიდხანს ისმოდა ვაშას ძახილი. ვექილი კი თავის ამხანაგებს შესჩიოდა: აფსუს, ჩემ ფალავნებს რა ტყუილად ვაჭამე ორმოცი ულუფა კატლეტიო. ძმები გიჟივანიშვილები საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშ-მიდან იყვნენ, ორივე ახოვანი და მართლაც ძლიერი ვაჟკაცები. გარე კახეთში მათ კარგი სახელი ჰქონდათ. განსაკუთრებული ღონის პატრონი და ძალოვანი კაცი იყო უფროსი ძმა გოგლა და ვექილიც არ მოტყუებულა გოგლა ბოლოსთვის რომ დაუტოვებია შესარკინებ-ლად. მაგრამ ქართული ჭიდაობის ილეთების იშვიათ მცოდნე შაშოსთან ვერაფერი გაუწყვია.

შაშო ვერელი 85 წლის ასაკში, 1966 წლის 9 იანვარს გარდაიცვალა.

ირაკლი ვაჩნაძე (კახელი)

ირაკლი ვაჩნაძე (კახელი) დაიბადა 1891 წელს, გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში.

ძალზე მოხდენილი და ახოვანი ყმაწვილი ყოფილა. მას ჭიდაობა შაშო ვერელთან დაუწყია და საკმაოდ ცნობილი ფალავანი გამხდარა. როგორც ბეჭდაუდებელ ფალავანს ისე მოიხსენიებდნენ.

მე-20 საუკუნის 10-იან წლებში მიოპოვა რუსეთის იმპერიის ჩემპიონის ტიტული.

აღსანიშნავია, რომ 1911 წელს, ირაკლი ვაჩნაძეს მონაწილეობა მიუღია ტანის სილამაზის ევროპულ კონკურსში და გამარჯვებულიც გამხდარა. ის ძალზე კარგი მედოლეც ყოფილა. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა, ზაქარია ფალიაშვილმა „აბესალომი და ეთერის“ ერთ-ერთ დადგმაში დოლზე დააკვრევინა.

თავის საჭიდაო კარიერის მანძილზე მას დამარცხებული ჰყავს საკმაოდ ძლიერი მოჭიდავეები და პირველ რიგში პროფესიონალი მოჭიდავე, რუსეთის იმპერიის მრავალგზის ჩემპიონი და მსოფლიოს 1911 წლის ჩემპიონი **კლემენტ ბული.** რუსულ პრესაში არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლემენტ ბული იყო სსრკ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი და მის მოწაფეებს შორის მოიხსენიებენ ევროპის 1947 წლის ჩემპიონს **კონსტანტინე კობერიძეს,** რომელიც 1937 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში.

ასევე ირაკლი ვაჩნაძის დიდ წარმატებად მიიჩნევდნენ ირანელი ფალავნის, **აკხი სულეიმანის** დამარცხებას. ირანელი უძლეველი ფალავნის სახელით სარგებლობდა და არაერთი ქართველი მოჭიდავეც ჰყოლია დამარცხებული. ეს ჭიდაობა თბილისში გამართულა, იმ პერიოდისათვის ერთერთ პრესტიჟულ საჭიდაო არენაზე, დიდუბის ე.წ. „გრიშუას ბაღში“.

შეხვედრას დიდძალი ხალხი დასწრებია. თურქი მოჭიდავის საქომაგოდ, თბილისში და მის შემოგარენში მცხოვრები, თითქმის ყველა მუსლიმი მისულა.

მსაჯებად მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, თბილისელი აშუღი „ბეჩარა“, ყოფილი მოჭიდავე ვანო

ჩიბალოვი და იურისტი შალვა მესხიშვილი მიუწ-ვევიათ.

ქართველმა ფალავანმა, ქომაგების გულგასახარად, რამოდენიმე წუთში ბეჭებზე გააკრა ოსმალეთიდან ჩამოსული გოლიათი.

მოგვიანებით თურქ ფალავნს ეს მარცხი შემთხვევი-თობისათვის მიუწერია და მატჩ-რევანში მოუთხოვია, რაზეც ირაკლი კახელს თანხმობა განუცხადებია და მოლაპარეკების თანახმად მომდევნო შეხვედრა ორი კვირის თავზე დაუნიშნავთ.

განმეორებითი შერკინება ისევ „გრიშუას ბაღში“ გამართულა. ქომაგების რაოდენობა ამჯერადაც საკ-მაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა. ზურნისა და დო-ლის ხმაზე მოწინააღმდეგეები ლომებივით დატაკე-ბიან ერმანეთს, არც ერთი მოჭიდავე არ აკლებდა ძალას და ღონეს, მაგრამ ქართველმა ფალავანმა მაინც იძალა და კვლავ ბეჭებზე გააკრა თურქების აღიარე-ბული ფალავანი.

მოგვიანებით ირაკლი ვაჩნაძე რუსეთის იმპერიის ჯარში გაიწვიეს. ოფიცრის რანგში მონაწილეოდა პირ-ველ მსოფლიო ომში. სახლში დაბრუნების შემდეგ, 1919 წელს, ჯირითის დროს ცხენიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა.

მიხა ქურხული

დაიბადა 1880 წელს საგარეჯოში. მუშაობა, საგარეჯოს რკინიგზის სადგურთან ახლოს, ყასბად დაიწყო. 23 წლის ასაკში მეფის რუსეთის ჯარში გაიწვიეს, სადაც 8 წელი გაატარა და 1911 წელს განთავისუფლდა.

32 წლის ასაკში დიწყო პროფესიონალი მოჭიდავის კარიერა. 1912-1913 წლებში გამოდიოდა „ნიკიტინის ცირკში“. სადაც მისი პირველი შთამბეჭდავი წარმატება შედგა. მან საქვეყნოდ აღიარებული შაშო ვერელი სუფთად დაამარცხა. ამ გამარჯვებით მან უძლიერეს ფალავანთა რიგებში დაიმკვიდრა ადგილი და უკვე ბეჭდაუდებელ ფალავნად მოიხსენიებდნენ.

იმ პერიოდისათვის მიხას თითქმის არც ერთი ტურნირი არ გამოუტოვებია, ცირკის მესვეურები ყოველთვის ცდილობდნენ მის გამოყვანას ყველა პრესტიჟულ ტურნირებზე, რადგან ჭიდაობის სანახავად ბევრი გულშემატკივარი იყრიდა თავს.

ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა მას სანდრო კანდელაკთან გაუმართავს. დიდი ხანი გაგრძელებულა ამ ორი ბრგე ვაჟკაცის შერკინება მაგრამ, ვერცერთს ვერ მიუღწევია გამარჯვებისათვის, საბოლოოდ შეხვედრა ფრედ დამთავრებულა.

მიხა ქურხულის გამოსვლებიდან დასამახსოვრებელია შეხვედრა საქვეყნოდ აღიარებულ ქუთაისელ ფალავან კოლა ქვარიანთან. კოლას ამ შეხვედრამდე არც ერთი წაგება არ ჰქონდა, უბრალოდ მეტოქეები ვერაფერს უხერებდნენ მას. ქვარიანს ერთხელ ისიც უთქვამს, თუ ვინმე მომერია იმ წამიდან ჩემი ფეხი არ იქნება საჭიდაო არენაზეო!..

როგორც მაშინდელი თანამედროვენი იხსენებენ ქურხული-ქვარიანის შეხვედრა 1927 წელს თბილისის ცირკში დაუგეგმიათ. ყველა ელოდა გამოცდილი ქვარიანის გამარჯვებას და ცირკში მისული გულშემატკივრების უმრავლესობა ფსონს სწორედ მასზე დებდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, შედარებით გამოუცდელმა ქურხულმა ეფექტური ფანდით ბეჭებით გააკრა ხალიჩას დღეს უკვე ლეგენდად ქცეული ქუთაისელი ფალავანი.

კოლა ქვარიანის მიერ ამ შეხვედრამდე გაკეთებული დაპირება, „თუ ვინმე მომერია იმ წამიდან ჩემი ფეხი არ იქნება საჭიდაო არენაზეო“, შესრულდა. სულ

მალე, 1927 წლის ბოლოსათვის მან დატოვა საქართველო და ჯერ ევროპაში, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიდო ბინა.

მიხა ქურხულს მონაწილეობა მიუღია ქ. გორში გამართულ პრესტიჟულ ტურნირზე, სადაც მთელი კავკასიის უძლიერეს ფალავნებს მოეყარა თავი. მან 14 შეხვედრა ჩაატარა და ყველა მოიგო, რისთვისაც კუთვნილ პრიზებთან ერთად ჯილდოდ ვერცხლის ძვირფასი ქამარ-ხანჯალი დაიმსახურა.

მიხა ქურხული პროფესიულ კარიერას წარმატებით აგრძელებდა. თუმცა 45 წლის ასაკში თავის კარიერას წერტილი დაუსვა მაშინ, როდესაც ახალბედა, ძალიან პერსპექტიულ ფალავანთან ვანო (გლდანელი) წამალაშვილთან დამარცხდა.

ამ მარცხის შემდეგ მიხა ქურხულმა აქტიურ სპორტს თავი დაანება იმ მოსაზრებით, რომ „კარგი თაობა მოდის და სარბიელი მათ უნდა დავუთმოთო“. მოგვიანებით მიხამ საგარეჯოში მოზარდი მოჭიდავეების აღზრდას მიჰყო ხელი და საკმაო წარმატებითაც. „ქართული ჭიდაობის კორიფე" ასე შეამკო იმ დროის გულშემატკივარმა მოჭიდავე.

მიხა ქურხული 81 წლის ასაკში, 1961 წელს გარდაიცვალა.

თავი III. ფალავნობა საქართველოში

ჩვენს ქვეყანაში ფალავნობა ქართული ჭიდაობის ყოველწლიური შეჯიბრებაა, რომელიც სათავეს მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს. საქართველოს პირველი ფალავნობა 1928 წლის ივნისში გაიმართა თბილისში, ესიკოვის ცირკში (ვერაზე).

ამ შეჯიბრების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ცნობილი მოჭიდავე და ქართული ჭიდაობის წესების პირველი წიგნის ავტორი, **ვანო წამალაშვილი** იყო და პირველი ფალავანიც სწორედ მისი მოწაფე – 20 წლის **შალვა რჩეულიშვილი** გახდა. ამ ხნის მანძილზე ფალავანის წოდება არაერთ ტიტულოვან სპორტსმენს, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს მოუპოვებია. საქვეყნოდ აღიარებული ქართველი ფალავნები მუდამ პრესტიჟულად მიიჩნევდნენ ჩვენს ეროვნულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტური ფალავანის წოდების მოპოვებას.

განვლილი 92 წლის მანძილზე **საქართველოს ფალავნობა მოიპოვა 44 მოჭიდავემ,** მათ შორის ყველაზე ტიტულოვანი ფალავნები არიან: **ალექსი დავითაშვილი, ზაქარია ბაკურაძე, ანზორ კიკნაძე, მალხაზ ბერუაშვილი, ადამ ოქრუაშვილი და არსენ მეკოკიშვილი**.

3.1. 1928-2023 წლების ფალავნები

ალექსი დავითაშვილი

1996 დან 2008 წლამდე **რვაჯერ მოიპოვა** საქართველოს აბსოლიტური ფალავანის ტიტული.

ზაქარია ბაკურაძე

1945-1949 წლებში **ხუთჯერ გახდა** საქართველოს აბსოლუტური ფალავანი.

ანზორ კიკნაძე

1959-1964 წლებში **ხუთგზის** საქართველოს აბსოლუტური ფალავანი.

მალხაზ ბერუაშვილი

საქართველოს **ხუთგზის** აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1979, 1982, 1984, 1987, 1989).

ადამ ოქრუაშვილი

საქართველოს **ოთხგზის** აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (2009 - 2010 - 2011 – 2012 წ.წ.)

არსენ მეკოკიშვილი

საქართველოს **სამგზის** აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1936-1937-1938 წ.წ.)

ორ-ორჯერ მოიპოვეს საქართველოს ფალავნების ტიტული:

შოთა გულიაშვილმა (1970 და 1971 წლებში)
შოთა ჩოჩიშვილმა (1972 და 1977წლებში)
ოთარ ყურაშვილმა (1973 და 1975 წლებში)
ჯემალ მჭედლიშვილმა (1985 და 1986 წლებში)
პაატა ღვინიაშვილმა (2013 და 2015 წლებში)
ონისე ბუღაძემ (2019 და 2021 წლებში)
გურამ თუშიშვილმა (2017 და 2023 წლებში)

თითო ფალავნობა მოიპოვეს:

შალვა რჩეულიშვილმა (1928 წელს)
გიორგი რჩეულიშვილმა (1931წელს)
ვახტანგ ჭიჭინაძემ (1934 წელს)
სანდრო ნაკაშაშვილმა (1935 წელს)
არჩილ ონაშვილმა (1944 წელს)
სიმონ მაისურაძემ (1952 წელს)
ზაქარია მუხიაშვილმა (1957 წელს)
ამირან ვარდოშვილმა (1958 წელს)
ანზორ ზურაბაულმა (1963 წელს)
ბუღდან ბაღაკაშვილმა (1967 წელს)
გივი კახაბრიშვილმა (1969 წელს)
იგორ ძეგლიგაშვილმა (1974 წელს)

თემურ ხუბულურმა (1976 წელს)
აბესალომ წიკლაურმა (1978 წელს)
თარიელ მუთოშვილმა (1980 წელს)
შოთა ხაბარელმა (1981 წელს)
დავით დავითაშვილმა (1983 წელს)
გელა ბერუაშვილმა (1988 წელს)
გიორგი გაჩეჩილაძემ (1990წელს)
ლერი ჟორჟოლიანმა (1991 წელს)
არმაზ ჯალაბაძემ (1992 წელს)
კობა კუპატაძემ (1993 წელს)
ვანო გამხიტაშვილმა (1994 წელს)
ვალერი პარუნაშვილმა (1995 წელს)
გიორგი წმინდაშვილმა (1997 წელს)
ზვიად ხანჯალიაშვილმა (2006 წელს)
ლაშა გუჯეჯიანმა (2007 წელს)
ბექა ღვინიაშვილმა (2014 წელს)
გიორგი კაციაშვილმა (2016 წელს)
ბექა ბერძენიშვილმა (2018 წელს)
ლევან მატიაშვილმა (2022 წელს)

ფალავნები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1928 წლიდან 2023 წლის ჩათვლით საქართველოს აბსოლიტური ფალავნობა ჩატარდა 92-ჯერ და ამ ასპარეზობის გამარჯვებული გახდა 44 ფალავანი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აბსოლუტური ფალავნის ტიტულის 97% მოიპოვეს აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლებმა. 44 გამარჯვებული ფალავნიდან მხოლოდ სამია დასავლეთ საქართველოდან. ესენია; ზესტაფონელი **გიორგი გაჩეჩილაძე**, მესტიელი **ლერი ჟორჟოლიანი** და საჩხერელი **ონისე ბუღაძე.**

დანარჩენი ფალავნები ნაწილდება შემდეგნაირად:

ახმეტა – 7 ფალავანი (**ზაქარია ბაკურაძე, სიმონ მაისურაძე, ბუღდან ბაღაკაშვილი, იგორ ძეგლიგაშვილი, ტარიელ მუთოშვილი, დავით დავითაშვილი, ალექსი დავითაშვილი**);
სულ ახმეტელ სპორტსმენებს 18-ჯერ აქვთ მოპოვებული საქართველოს ფალავნის ტიტული.

ქარელი – 6 ფალავანი (მალხაზ ბერუაშვილი, შოთა ხაბა-რელი, ჯემალ მჭედლიშვილი, გელა ბერუაშვილი, პაატა ღვინიაშვილი, ბექა ღვინიაშვილი);
სულ ქარელის მუნიციპალიტეტის ექვსმა მოჭიდავემ 12-ჯერ დაიმსახურა ფალავნის წოდება.

კასპი – 6 ფალავანი (ამირან ვარდოშვილი, შოთა გულია-შვილი, ოთარ ყურაშვილი, ვანო გამხიტაშვილი, გიორგი კაციაშვილი, ბექა ბერძენიშვილმა).
ექვსმა კასპელმა ფალავანმა 8-ჯერ მოიპოვა ფალავნის ტიტული.

თბილისი – 5 ფალავანი (შალვა რჩეულიშვილი, ვახტანგ ჭიჭინაძე, ანზორ კიკნაძე, ვალერი პარუნაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი).
ხუთმა თბილისელმა ფალავანმა 9-ჯერ მოიპოვა ფალავ-ნის ტიტული.

გორი - 5 ფალავანი (გიორგი რჩეულიშვილი, სანდრო ნაკაშაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი, თემურ ხუბულური, არმაზ ჯალაბაძე);
ხუთმა გორელმა ფალავანმა 6-ჯერ მოიპოვა ფალავნის ტიტული.

საგარეჯო – 5 ფალავანი (არსენ მეკოკიშვილი, არჩილ ონაშვილი, ანზორ ზურაბაული, კობა კუპატაძე, ლევან მატიაშვილი)
ხუთმა საგარეჯოელმა ფალავანმა 7-ჯერ მოიპოვა ფალავნის ტიტული.

მცხეთა – 2 ფალავანი (აბესალომ წიკლაური, ადამ ოქრუაშვილი);
ორმა მცხეთელმა ფალავანმა 5-ჯერ მოიპოვა ფალავნის ტიტული.

თელავი – 2 ფალავანი (გიორგი წმინდაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი);
თელაველმა ფალავანებმა თითო-ჯერ მოიპოვა ფალავ-ნის ტიტული.

გლდანი – 1 ფალავანი – ზაქარია მუხიაშვილმა ერთხელ მოიპოვა ფალავნის ტირული;

მარტყოფი – 1 ფალავანი – გივი კახაბრიშვილმა ერთ-ხელ მოიპოვა ფალავნის ტირული;

კოჯორი – 1 ფალავანი – გურამ თუშიშვილმა ორჯერ მოიპოვა ფალავნის ტიტული;

თავი IV. ქართული ჭიდაობიდან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე

ქართული ჭიდაობის უდიდესი დამსახურებაა ჩვენი მოჭიდავეების ის შთამბეჭდავი წარმატებები, რომლებსაც მათ მიაღწიეს უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე. სწორედ ქართული ჭიდაობის ტრადიციებზე აღიზარდნენ და შემდგომში საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა: არსენ მეკოკიშვილმა, დავით ციმაკურიძემ, მირიან ცალქალამანიძემ, ლევან თედიაშვილმა, შოთა ჩოჩიშვილმა, შოთა ხაბარელმა, ვახტანგ ბალავაძემ, გიორგი სხირტლაძემ, ვლადიმერ რუბაშვილმა, ანზორ კიკნაძემ, ანზორ ქიბროწაშვილმა, თემურ ხუბულურმა, ჯემალ მჭედლიშვილმა, ვალერი პარუნაშვილმა, მალხაზ ბერუაშვილმა, ალექსი დავითაშვილმა, ადამ ოქრუაშვილმა ჯემალ მჭელიშვილმა და მრავალმა სხვამ.

ამ თავში გაგაცნობთ ქართული ჭიდაობის წიაღიდან გამოსული ჩვენი საამაყო ფალავნების მოკლე ბიოგრაფიას, მათ გზას უმაღლესი სპორტული მიღწევებისაკენ.

არსენ მეკოკიშვილი



დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფ. გიორგწმინდაში 1912 წლის 12 აპრილს.

მამამისი, ფიდო მეკოკიშვილი, გოლიათური აღნაგობის, სახელგანთქმული ფალავანი ყოფილა. არსენა ხუთი წლისა იყო, როცა მამა გარდაეცვალა და შრომას ადრიანად შეეჩვია.

პატარაობიდან ქართული ჭიდაობით იყო დაინტერესებული. 1934-1944 წლებში იყო საქართველოს ჩემპიონი, ხოლო 1936-1937-1938 სამგზის აბსოლუტური ფალავნის წოდება მოიპოვა ქართულ ჭიდაობაში.

გამოირჩეოდა უდიდესი ფიზიკური ძალით, 186 სმ. სიმაღლის არსენ მეკოკიშვილი 120 კგ. იწონიდა.

ის იყო უნივერსალური მოჭიდავე, 1940 წელს მოსკოვში მოჭიდავეების დღესასწაულზე პირველად გაეცნო სამბოს და იმავე წელს მოიგო სსრკ ჩემპიონატი. 1940–1952 წლებში 7-ჯერ მოიპოვა სსრკ ჩემპიონის წოდება ამ სახეობაში.

მან ბედი თავისუფალ ჭიდაობაშიც სცადა და საბოლოოდ არჩევანიც მასზე გააკეთა. 1945-56 წლებში 9-

ჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კაპიტანმა 40 წლის ასაკში იასპარეზა ჰელსინკის 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებზე და ოქროს მედალი მოიპოვა.

ჰელსინკის ოლიმპიადამდე, არსენ მეკოკიშვილს არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში არ ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. ჰელსინკიში მან პირველ წრეში შეხვედრის მე-7 წუთზე ორივე ბეჭებზე ხალიჩას გააკრა უნგრელი იოჟეფ კოვაჩი. მეორე წრეში ქულებით სძლია გერმანელ ვილი ვალტნერს, მესამეში ასევე ქულებით დაამარცხა დიდი ბრიტანელი კენ რიჩმონდი. მეოთხე წრეში ბეჭებზე გააკრა ამერიკელი ნატან ვენჩი და ფინალში გავიდა, სადაც მას ელოდა ევროპისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ლონდონის 1948 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, „ჩრდილოელ გიგანტად“ და „შვედ ლომად“ წოდებული ბერტილ ანტონსონი. არსენ მეკოკიშვილმა დამაჯერებლად წარმართა ორთაბრძოლა და მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი.

1954 წელს ტოკიოში 42 წლის არსენ მეკოკიშვილმა მოიგო მსოფლიო პირველობა. უკანასკნელად 1956 წელს იასპარეზა სსრკ ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე, სადაც 44 წლისამ დაამარცხა ყველა მეტოქე და ჩემპიონობა მოიპოვა.

60 წლის ასაკში დაიღუპა ავტოკატასტროფაში, 1972 წლის 7 მარტს.

დავით (ამურ) ციმაკურიძე



დაიბადა 1925 წლის 29 მარტს ფოთში. დავით ციმაკურიძის მამა, მიხეილ ციმაკურიძე ცნობილი პროფესიონალი მოჭიდავე იყო, რომელიც „მიშიკო მაჩაბლის“ ფსევდონიმით ასპარეზობდა. მას არაერთი გამარჯვება მოუპოვებია როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. მიხეილ და დავით ციმაკურიძეები ქართული ჭიდაობის წიაღიდან იყვნენ გამოსულები.

როდესაც ციმაკურიძეების ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, პატარა დავითმა სპორტის რამდენიმე სახეობაში სცადა ძალები, მათ შორის ველორბოლაში, კრივსა და ფეხბურთში. 12 წლის იყო, როდესაც მისი მამა ზესტაფონში გადაიყვანეს სამუშაოდ და მიხეილ ციმაკურიძემ ოჯახიც თან წაიყვანა. მათ ეზოში დავითის რამდენიმე თანატოლი ცხოვრობდა და როგორც თვითონ იხსენებდა, სწორედ მათ

გაუღვივეს ჭიდაობის მიმართ ინტერესი და სიყვარული. თბილისში დაბრუნების შემდეგ დ. ციმაკურიძე მიიყვანეს მაშინდელ ორჯონიკიძის ქუჩაზე მოჭიდავეთა სამჭედლოდ წოდებულ პეტრე იორდანიშვილის დარბაზში, სადაც მთელი სერიოზულობით დაიწყო ვარჯიში და პირველ წარმატებას სულ მოკლე დროში მიაღწია, როდესაც მოიგო თავისი პირველი ტიტული – გახდა თბილისის ჩემპიონი თანატოლთა შორის. პირველ, უფრო სერიოზულ წარმატებას კი 1942 წელს მიაღწია, როდესაც 17 წლის ასაკში ბათუმში მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა კლასიკურ ჭიდაობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩეპიონატზე საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად გამოდიოდნენ ბათუმის ნავსადგურში მდგარი გემების მეზღვაურები და ეკიპაჟის წევრებიც. დავით ციმაკურიძემ ყველა შეხვედრა მოიგო.

ციმაკურიძის სპორტულ ბიოგრაფიაში განსაკუთრებულად გამორჩეული გამოდგა 1945 წელი. ლენინგრადში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში მან ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. ამის შედეგ დავით ციმაკურიძემ კიდევ ექვსჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული და მყარად დაიმკვიდრა ადგილი ნაკრების ძირითად შემადგენლობაში.

ჰელსინკის ოლიმპიადაზე შვედ ბენგტ ლინტ-ბლადთან მსაჯებმა წააგებინეს, რაც საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელობამ გააპროტესტა და თანხაც გადაიხადა აპელაციისთვის. სანამ საკითხს განიხილავდნენ, დ. ციმაკურიძემ ორი მეტოქე დაამარცხა, ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის წევრი დანიელ ჰოჯი გააკრა ხალიჩას, შემდეგ იგივე ბედი არგუნა ეგვიპტელ მოჰამედ აბდუ ჰუსეინს და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ბატონი დავითი იგონებდა ამ ფინალური შეხვედრის პერიპეტიებს „ფინალში ორი მეტოქე მყავდა: უნგრელი დიორდ გირიჩი და ირანელი გულამ რეზა ტახტი. პირველი შეხვედრა 7:0 მოვიგე და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ირანელთან მომიწია შეხვედრა. ამ შეხვედრის წინ ტახტი მუხლებზე დაემხო და ლოცვა-კურთხევა შესთხოვა ალაჰს. ვიფიქრე, ამას ჩემი შინებია-მეთქი და უფრო თამამად გავედი საჭიდაოდ. ხელის ჩავლებისთანავე მივხვდი, როგორ ძლიერ მეტოქესთან მქონდა საქმე. შევუტიე და საბოლოო ჯამში 9:2 დავამარცხე ირანის შაჰის საყვარელი ფალავანი. კვარცხლბეკზე რომ ვიდექი, მთელი საქართველო თვალწინ დამიდგა და ცრემლიც მომადგა, მე გავხდი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან“.

დავით ციმაკურიძემ შვიდჯერ მოიპოვა სსრკ-ს ჩემპიონის წოდება თავისუფალ ჭიდაობაში (1945-1952 წლებში). იყო მეორე (1954) და მესამე (1948) პრიზიორი. აღსანიშნავია, რომ მან სსრ კავშირის ჩემპიონატზე ორჯერ (1947, 1948 წლებში) იასპარეზა ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში და ორივეჯერ ვერცხლის მედალი მოიგო.

1956 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მელბურნის ოლიმპიადაზე გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. დავით ციმაკურიძე ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იყო და ამ წარმატებისთვის საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით, არის ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

დავით ციმაკურიძე გარდაიცვალა 81 წლის ასაკში, 2006 წლის 8 მაისს.

მირიან ცალქალამანიძე



დაიბადა 1927 წლის 9 მარტს თელავის რაიონის სოფელ კონდოლში.

მისი წინაპრები გვარად გუდაბრიშვილები ყოფილან. ერთხელ მათ სოფელს გადამთიელები დასხმია თავს. სოფლის ერთ-ერთ მეომარს ცალი ქალამნის ჩაცმა ძლივს მოუსწრია და ნახევრად ფეხშიშველი შეგებებია მტერს. ამ შეტაკებაში გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის მეფეს გუდაბრიშვილებისთვის აზნაურობა უბოძებია, თანასოფლელებს კი იმ გმირისთვის ცალქალამანა შეურქმევიათ, მისი შთამომავლებისთვის კი ცალქალამანიძეები უწოდებიათ. 1939 წელს მისი ოჯახი თბილისში გადმოსახლებულა.

ჭიდაობაში ვარჯიში იმ ასაკში დაიწყო, რომელშიც სხვები უკვე თავს ანებებენ აქტიურ სპორტს.

მართალია საჭიდაო დარბაზში პირველად 24 წლის ასაკში მივიდა, მაგრამ მირიანს ზურგს უმაგრებდა სოფლის ნახერხმოყრილ საჭიდაო არენაზე მიღებული გამოცდილება და იქ ნასწავლი ქართული ჭიდაობის

ილეთები. მისი თაობის ფალავნები, როგორც წესი, ქართული ჭიდაობით იწყებდნენ და მერე ხდებოდნენ დიდი ჩემპიონები.

1954 წელს ლენინგრადში სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალამდე მან ყველა შეხვედრა მოიგო, მაგრამ ფინალში ბაქოელ გიორგი საიადოვთან დამარცხდა. თუმცა ზერბაიჯანელმაც დათმო შეხვედრა ბელარუს იგორ კარავაევთან. ბოლო ორთაბრძოლა მირიანს კარავაევთან ჰქონდა. თუ მინსკელი მოიგებდა შეხვედრას ჩემპიონი ხდებოდა. ქართველის ქულებით გამარჯვების შემთხვევაში, ჩემპიონი საიადოვი ხდებოდა. მაგრამ თუ ჩვენი მოჭიდავე კარავაევს სუფთად მოუგებდა მაშინ თავად იგებდა ოქროს მედალს.

მოგვიანებით მირიანი იგონებდა: „ჩემს მწვრთნელს, ლევ კაპიტონოვს სხვა ვარიანტის გაგონებაც არ უნდოდა, რა უნდა მექნა. შერკინების მესამე წუთზე კარავაევს ელვისებური ილეთი ჩავუტარე, მან ხიდურზე გადასვლა ვერ მოასწრო და ბეჭებით შეეხო ხალიჩას“.

მისი სპორტული კარიერის მწვერვალი კი მელბურნის 1956 წლის ოლიმპიური თამაშები იყო, სადაც მან თითქმის შეუძლებელი შეძლო. ცალქალამანიძე სამ მეტოქეს იოლად გაუმკლავდა, მაგრამ მეოთხე წრეში

თურქ ჰუსეინ აკბასთან დამარცხდა. თუმცა მომდევნო შეხვედრა აკბასმა ირანელ ხოჯასტეპურთან დათმო.

ოლიმპიადაზეც იგივე ისტორია გამეორდა, რაც 1954 წელს ლენინგრადში. ჩვენ ფალავანს შეეძლო ოქროს მედლის მოპოვება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ ირანელს სუფთად დაამარცხებდა. ეს ამოცანა შესანიშნავად განახორციელა, შეხვედრის მეოთხე წუთზე მირიან ცალქალამანიძემ ქართული შუაკაუ-რით ხალიჩას გააკრა ხოჯასტეპური და ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

1956 წელს მიენიჭა სსრკ-ის სპორტის დამსახუ-რებული ოსტატის წოდება. არის ღირსებისა და ვახ-ტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

მირიან ცალქალამანიძე გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, 2000 წლის 3 აგვისტოს.

ლევან თედიაშვილი



დაიბადა 1948 წლის 15 მარტს საგარეჯოში. 1971 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, 1976 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

1972 წლის მიუნხენისა და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი, ოთხჯერ-თავისუფალ ჭიდაობაში (1971, 73, 74, 75), ერთხელ-სამბოში (1973) და ევროპის 3-გზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი (1971), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 74). სსრკ წლის საუკეთესო სპორტსმენი (1973). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ბრინჯაოს პრიზი).

1982-1984 წლებში საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; 1986-1989

წლებში თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე;

1993-1995 წლებში კახეთის რეგიონში სახელმწიფო მეთაურის რწმუნებული. საქართველოს მე-4 (1995-99 წ.) და მე-5 მოწვევის (1999-2004 წ.) პარლამენტის წევრი. თბილისის საპატიო მოქალაქე.

1971 წელს თეირანში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ე,წ. „არიამეჰრის“ (შაჰინშაჰის) სახელობის პრიზზე.

ამ ტურნირზე მსოფლიოს მრავალ ცნობილ ფალავანებთან ერთად 23 წლის ლევან თედიაშვილიც გამოდიოდა. ფინალურ შეხვედრებს ირანის უკანასკნელი შაჰინშაჰი – მოჰამად რეზა ფაჰლავიც დაესწრო. ლევანმა ერთი მეორის მიყოლებით დაამარცხა ყველა მოჭიდავე და ფინალში გავიდა, სადაც მას შაჰის ფავორიტი ელოდებოდა.

ლევან თედიაშვილი იგონებს ამ ტურნირის პერიპეტიებს: „ფული შემომაძლიეს, რომ არ მომეგო შაჰის ფალავანისთვის, „ვიცოტავე“, კიდევ დაამატეს. ამ ვაჭრობა-ვაჭრობაში ყველაფერი ასი ათას დოლარამდე ავიდა. მერე გავედი ხალიჩაზე და იმათი ფალავანი შაჰის თვალწინ გავაკარი ხალიჩას... ფულს ვინღა მომცემდა“. როდესაც ლევანს შეეკითხნენ – მართლა არ დაგენანათ ასი ათასი? მან უპასუხა – „გაყიდული

შეხვედრით არავინ გამდიდრებულა. მერე თვალებში როგორ შემეხედა ჩემი შვილებისთვის".

არიამეჰრის პრიზი თეირანში, თედიაშვილმა, კიდევ ორჯერ (1972 და 1977 წლებში) მოიგო.

დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, სოკის და ფილას ორდენებით, არის ღირსების ორდენის კავალერი. 1973 წელს დაასახელეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენად.

ლევან თედიაშვილმა სამ უდიდეს ასპარეზობაზე 1971 -1978 წლებში 10 ოქროს მედალი მოიპოვა:

ოლიმპიურ თამაშებზე – 2 (1972, 1976);

მსოფლიოს ჩემპიონატებზე – 5 (1971, 1973-2, 1974, 1975);

ევროპის ჩემპიონატებზე – 3 (1974, 1976, 1978 წ.);

აღსანიშნავია, რომ ლევან თედიაშვილმა რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფილმში „ხარება და გოგია“ (1987 წ.) მთავარი როლი შესრულა. მოგვიანებით ასევე მთავარი როლი შეასრულა ლევან კოღუაშვილის დრამაში „მეოთხე ბრაიტონი“ (ფილმის პრემიერა 2021 წლის დეკემბერში შედგა).

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, 2024 წლის 17 თებერვალს.

შოთა ჩოჩიშვილი

დაიბადა 1950 წლის 10 ივლისს ქარელის რაიონ სოფ. ღვლევში. 1973 წელს დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, 1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მისი ფესვები ქართული ჭიდაობიდან მოდიოდა და ამიტომ ორჯერ, 1972 და 1977 წლებში, ქართული ჭიდაობის აბსოლუტურ ფალავნობაზეც, ორჯერ გახდა გამარჯვებული.

საინტერესოდ წარიმართა ჩოჩიშვილისათვის მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიური თამაშები. პირველ წრეში მასთან მეტოქე არ გამოცხადდა და უბრძოლველად გავიდა მერვედფინალში. აქ კი მას ტურნირის უდავო ფავორიტად მიჩნეული, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, იაპონელი ფუმიო სასახარა ელოდა. შოთა

ჩოჩიშვილი იგონებდა: „იაპონელი დიდებულ სპორ-ტულ ფორმაში იყო, პირველ შეხვედრაში სუფთად დაამარცხა მეტოქე და მეორე წრეში ერთმანეთის პი-რისპირ აღმოვჩნდით, ვაზარით ვაგებდი, დასრუ-ლებამდე 48 წამი იყო დარჩენილი, სასახარა ერთ მომენტში მოდუნდა თითქოს. ამ დროს ტრიბუნიდან ჩემი მწვრთნელის გურამ პაპიტაშვილის ხმა გავიგე: „ე, ბიჭო კისრული!“ და წამში მივიღე გადაწყვეტილება: ფუმიო სასახარამ ჰაერში წრე მოხაზა და ბეჭებით დაენარცხა ტატამზე“.

მეოთხედფინალში დიდი ბრიტანეთის წარმომად-გენელს დევიდ სტარბრუკს შეხვდა. ეს შეხვედრა ყველასათვის მოულოდნელად ჩოჩიშვილის მარცხით დამთავრდა. მაგრამ ქართველ ფალავანს ფარ-ხმალი არ დაუყრია და ასპრეზობა გააგრძელა. რეპეშაჟში ჯერ ფრანგ პიერ ალბერტინის და შემდეგ ამერიკელ ჯეიმს ვულს სძლია და ნახევარ ფინალში გერმანელ პაულ ბართს დაუპირისპირდა. ქართველმა ეს ბარიერიც გადალახა და ფინალში გავიდა სადაც მას მოთხედ ფინალში მომგები დევიდ სტარბრუკი დაუხვდა. შოთა ჩოჩიშვილმა ფინალური ორთაბრძოლა ძალიან ძლიე-რად ჩაატარა, რევანშიც აუღო სტარბრუკს და ოლიმ-

პიური ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა. საინტერესოა, რომ იმ წელს იაპონიაში დაბადებულ ლამის ყველა მეორე ვაჟს შოთა დაარქვეს.

1976 წლის მონრეალის ოლიმპიადზე ის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

იგი პირველი ძიუდოისტია საქართველოს სპორტის ისტორიაში, რომელმაც მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული. არის ევროპის 3-გზის ვერცხლის (1973, 1974, 1975) და ბრინჯაოს (1977) პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი.

2008 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

დაჯილდოვებულია საპატიო ნიშნის, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენებით.

2008 წელს თბილისის ძიუდოს აკადემიას შოთა ჩოჩიშვილის სახელი მიენიჭა.

შოთა ჩოჩიშვილი 59 წლის ასაკში, 2009 წლის 27 აგვისტოს გარდაიცვალა. ის სოფელ ღვლევში მისსავე აღდგენილ ეკლესიის ეზოშია დაკრძალული.

2015 წელს შოთა ჩოჩიშვილი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის IJF — დიდების დარბაზის წევრი გახდა (გარდაცვალების შემდეგ).

შოთა ხაბარელი

დაიბადა ქარელის რაიონის სოფ. ძლევისჯვარში 1958 წლის 26 დეკემბერს. 1982 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე 78 კილოგრამ წონით კატეგორიაში 23 მონაწილე იყო. პირველ წრეში ქულებით მოუგო გერმანელ ჰარალდ ჰაინკეს, მეორეში ასევე ქულებით დაამარცხა ბულგარელი გეორგ პეტროვი, მესამე წრეში რუმინელი მირჩა ფრატიკა დაამარცხა და ფინალში გავიდა სადაც მისი მეტოქე კუბელი ხუან ფერერი იყო, რომელმაც აქამდე ყველა მოწინააღმდეგე „უჩი-მატას“ ილეთით დაამარცხა. ფერერმა, ხაბარელის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და იძულებული გახდა ვერცხლის მედლით დაკმაყოფილებულიყო.

1981 წელს მოიპოვა საქართველოს აბსოლიტური ფალავნის ტიტული ქართულ ჭიდაობაში.

1982 წელს გახდა სსრ კავშირის და 1983 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი.

1987-1991 და 1997-2009 წლებში იყო საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები სამჯერ ევროპის და ორჯერ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონი გახდა. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. 2002. 2003, 2006 და 2008 წლებში დასახელებულ იქნა ევროპის საუკეთესო მწვრთნელად.

2009 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ვიცე - პრეზიდენტი.

მე-20 საუკუნის 70-90 წლებში ძიუდოს ქართული სკოლა ერთერთი წარმატებული იყო და ეს პირველ რიგში, სპეციალისტების აზრით, ქართული ჭიდაობის დამსახურებაა, ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ „შოთა ხაბარელი არის ქართული ძიუდოს სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ტიტულოვანი წარმომად-გენელი. ხაბარელის ჭიდაობის ტექნიკური ილეთები, ისე, როგორც სხვა ქართველი ძიუდოისტებისა, მთლი-ანად დაფუძნებული იყო ქართული ეროვნული ჭი-დაობის ელემენტებზე. იმ პერიოდის საბჭოთა ძიუ-დოისტები ხაბარელის ჭიდაობის სტილს „ანტი ძიუ-დოს“ უწოდებდნენ. მაგრამ, სწორედ ეს განსხვავე-ბულობა გახდა მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამა-შებზე შოთა ხაბარელის წარმატების საფუძველი.

ქართული ჭიდაობაში არის ერთი ილეთი, რომელსაც „ამოგლეჯვას“, „ჩახვეულს“ ან „შუაკაურს“ ეძახიან. – ძიუდოში კი საერთაშორისო ტერმინი „ხაბარელი“ დაარქვეს. ქართულის პატივსაცემად. შოთა ხაბარელი იმ მცირე ძიუდოისტთა შორისაა, რომლებმაც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული სპორტულ და სამწვრთნელო კარიერაში მოიგეს.

2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე მისმა გაწრთვნილმა ზურაბ ზვიადაურმა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველმა მოიპოვა ოქროს მედალი, 2008 წელს კი პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი ირაკლი ცირეკიძემ მოიგო.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი – შოთა ხაბარელი არის „საპატიო ნიშნის“, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენიის კავალერი.

არის საქართველოს 2012-2020 წლების მე-8, მე-9 და მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ზურაბ ზვიადაური

დაიბადა 1980 წლის 2 ივნისს ახმეტაში. მან თავისი სპორტული კარიერა ქართული ჭიდაობით დაიწყო. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია. პირველ წარმატებას მიაღწია 18 წლის ასაკში, მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშებზე დაიკავა მეორე ადგილი, 2000 წელს კი მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ახალგაზრდებს შორის.

უკვე 2001 წლიდან ძალებს ცდის დიდების ასპარეზობაზე და მსოფლიო ჩემპიონატზე იკავებს მეორე ადგილს. 2002 წელს ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ხდება. ამავე წელს მსოფლიოს გუნდურ ასპარეზობაზე იკავებს მეორე ადგილს და ევროპის ჩემპიონატზე პირად პირველობაზე მესამე ადგილს, ხოლო გუნდურ შეჯიბრებაზე 2002 და 2003 წლებში ხდება ევროპის ჩემპიონი. ზურაბ ზვიადაური 2002 და 2003 წლებში ვერცხლის მედლებს

იგებს მსოფლიო ჩემპიონატებზე.

ყველაზე დიდ წარმატებას კი ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მიაღწია. ქართველმა ფალავანმა პირველ წრეში იტალიელი ფრანცესკო ლეპრე 46 წამში გააკრა ხალიჩას – იპონი. მეორე წრეში რუსეთის წარმომადგენელს 27 წლის ხასანბი ტაოვსაც იპონით სძლია. მესამე წრეში ჩვენს ატლეტს შეხვედრა მოუწია ძალიან ძლიერ ფრანგ ძიუდოისტთან – ფრედერიკ დე მონფოკონთან. 2001 წლის მიუნხენის მსოფლიო ჩამპიონატზე ზურაბ ზვიადაურმა ვერცხლის მედალი მოიპოვა და ფინალური ორთაბრძოლა სწორედ ამ ფრანგთან მტკივნეული ილეთით წააგო. შეხვედრა უკომპრომისო გამოდგა და იგი მცირე უპირატესობით ქართველის გამარჯვებით დასრულდა. ამ გამარჯვებით ზვიადაური ნახევარფინალში გავიდა, სადაც მას ინგლისელი ვინსტონ გორდონი ელოდებოდა. ეს შეხვედრა ჩვენმა სპორტსმენმა ვაზარით მოიგო და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ახალგაზრდა ქართველი ძიუდოისტისათვის ეს უკვე დიდი წარმატება იყო. მას ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ზურაბ ზვიადაური ასე არ ფიქრობდა-მას მეტის მიღწევა სურდა. როგორც ვარაუდობდნენ და მოსალოდნელიც იყო, მასთან ერთად ფინალში იაპო-

ნელი ჰიროში იზუმი გავიდა, რომელმაც ისე რო-გორც ჩვენმა სპორტსმემა, ფინალამდე ყველა მეტო-ქე დამაჯერებლად დაამარცხა.

2004 წლის 18 აგვისტოს მთელი საქართველო ტელეეკრანებიდან ადევნებდა თვალს, 3 წუთსა და 3 წამში როგორ გააკრა ბეჭებზე ზვიადურმა იაპო-ნელი და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორი-აში გახდა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი.

ამ შეხვედრის შემდეგ ზურაბ ზვიადაუმა ინტერ-ვიუში განაცხადა: „დარწმუნებული ვიყავი, რომ იაპონელს მოვუგებდი, თანაც გდებით მოვუგებდი. იმას ისეთი სტილი აქვს, მოდის ჭიდაობაზე. რა ილეთსაც აკეთებს ის, მისგან ვაკეთებ მე კონტრ-ილეთს. ამიტომ ვფიქრობდი სუფთა მოგებაზე. ასეც მოხდა“.

2010-2011 წლებში ზვიადაური საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნე-ლის თანაშემწედ მუშობდა.

2012-2016 წლებში იყო საქართველოს მე-8 მოწ-ვევის პარლამენტის წევრი. არისსპორტის რაინდი და ღირსების ორდენის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვა-ლების საპრეზიდენტო ორდენით.

ვახტანგ ბალავაძე

დაიბადა 1926 წლის 20 ნოემბერს, სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირში; 1951 წელს დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, 1956 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

ქართული სპორტის ისტორიაში ის არის პირველი მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მან ეს ტიტული 1954 წელს ტოკიოში მოიპოვა.

ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ირანელმა მოჰამედ ალი ფარდინმა ქართველ ფალავანთან ნახევარფინალური ორთაბრძოლა რომ წააგო (0:5), ხუმრობით უთხრა თურმე - შენთან ჭიდაობა შეუძლებელია. რომ იჭიდაო, ფეხზე უნდა იდგე, შენ კი ამის საშუალებას არ იძლევიო. მას ძალიან მდიდარი ტექნიკური ილეთების არსენალი ჰქონდა. ერთხელ ბატონ ვახტანგისათვის უკითხავთ – საიდან ამდენი ტექნიკური არსენალი? ქართული ჭიდაობიდან უპასუხია ბატონ ვახტანგს,

ქართული ჭიდაობა ჩვენი ამოუწურავი ოქროს ფონდია. მეხუთე თუ მეექვსე კლასში ვიყავი, მამამ ღანირიდან სამტრედიაში წამიყვანა. წიგნის მაღაზიასთან რომ გამოვიარეთ, ვიტრინაზე ილია თომაშვილის წიგნი შევნიშნე - "ქართული ჭიდაობა". მამას ვთხოვე და მიყიდა. შინ დაბრუნებულს ძმა და ბიძაშვილები ხელიდან მტაცებდნენ წიგნს. ჩვენს სახლთან ახლოს ერთი ტრიალი მინდორი იყო. ბიჭებმა ნახერხმოყრილი საჭიდაო მოვაწყვეთ და წიგნის მიხედვით ვამუშავებდით ფანდებს. 1944 წელს ჩემმა მასწავლებელმა დიმიტრი მიქაძემ რაიონის პირველობაზე მაჭიდავა. ბევრად უფროსი ბიჭები წავაქციე და პირველი ადგილი დავიკავე. 1946 წელს საქართველოს ჩემპიონი გავხდი ქართულ ჭიდაობაში. მომდევნო წელს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩავირიცხე. აქ გავიცანი ცნობილი მწვრთნელი მიხეილ თიკანაძე, რომელმაც თავისუფალი ჭიდაობის ანაბანას მაზიარა და მთელი სპორტული კარიერის განმავლობაში გვერდიდან არ მომცილებია“.

ვახტანგ ბალავაძე სამი წლის შემდეგ, 1957 წელს თურქეთის ქალაქ სტამბულში მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

გარდა ამისა, მან მსოფლიო ჩემპიონატზე 1959 წელს ვერცხლის მედალი მოიპოვა. მელბურნის 1956 წლის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი. იყო სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. სსრკ

ხალხთა I და II სპარტაკიადების მეორე პრიზიორი (1956, 1959). სსრკ ჩემპიონი (1952) სამბოში. მას ბუქარესტის საერთაშორისო ფესტივალზე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა როჟე კულონმა „ჭიდაობის პროფესორი“ უწოდა.

1955 წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის, ხოლო 1971 წელს – დამსახურებული მწვრთნელის წოდებები. დაჯილდოებულია ღირსების, ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენებით და სხვადასხვა მედლებით.

ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთ-რებული წვლილისათვის 1997 წელს დაჯილდოვდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის, FILA–ს ოქროს ორდენით.

1999 წელს მიენიჭა ქ. თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

გარდაიცვალა 91 წლის ასაკში, 2018 წლის 25 ივლისს.

გიორგი სხირტლაძე



დაიბადა 1932 წლის 9 ნოემბერს ონის რაიონის სოფელ მთისკალთაში.

1960 წელს დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, 1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.

გიორგი სხირტლაძე პატარაობიდან სოფლის თანატოლებთან ერთად ქართული ჭიდაობით იყო დაკავებული.

1949 წელს კი შალვა ნოზაძის ხელმძღვანელობით დაიწყო ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში.

1954, 1957, 1960 წლებში გახდა საბჭოთა კავშირის ჩეპიონი. მან ამ გამარჯვებებით მყარად დაიკავა ადგილი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

1957 წლის სტამბოლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანმა, 1959 წელს თეირანის მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვა ოქროს მედალი. მან ერთიმეორის მიყოლებით ერაყელი რაჰმი, პოლონელი სიდოროვიჩი, უნგრელი ჰოლოში, თურქი გუნგორი

და გერმანელი ლიპა დაამარცხა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველს ირანელმა საბი სორურიმ აჯობა, მან მაინც მოიპოვა ოქროს მედალი.

გიორგი სხირტლაძე მონაწილეობდა ორ ოლიპიურ თამაშებზე. 1956 წელს მელბურნში ბრინჯაოს, ხოლო 1960 რომში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

უნდა აღინიშნოს იმდროინდელი ჭიდაობის წესების რაღაც გაუგებრობა, საქმე იმაში იყო, რომ იტალიის დედაქალაქში გიორგიმ პირველ წრეში ავღანელი მოჰამედ აზიფ ხოკანი დაამარცხა, შემდეგ გერმანელი გეორგ უტცი გაუყენა მის გზას. მაგრამ მესამე წრეში ამერიკელ ედვარდ დე ვიტთან წააგო, მომდევნო წრეში კი ინდოელ მადო სინგხს სძლია. საბოლოო ჯამში მას ოთხი საჯარიმო ქულა დაუგროვდა და ნახევარფინალში, ასევე, ოთხი საჯარიმო ქულის მქონე შვედ ჰანს ანტონსონს შეხვდა. ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა. ორივეს 6-6 საჯარიმო ქულა დაუგროვდა, საბოლოოდ ვერცხლის მედალი სხირტლაძეს ხვდა, ბრინჯაო – ანტონსონს, ოქროს მედალი კი თურქ ჰასან გუნგორს ერგო, რომელიც არც ერთ პრიზიორს არ შეხვედრია.

გიორგი სხირტლაძე 2008 წლის 25 მარტს, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვლადიმერ რუბაშვილი

დაიბადა 1940 წლის 26 დეკემბერს მცხეთის რაიონის სოფელ ნაოზაში. საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

1959 წელს დაამთავრა თბილისის 35-ე სპორტული სკოლა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

პატარა ვოვა სოფლის თანატოლებთან ხშირად ჭიდაობდა ხოლმე, მაგრამ თავისი სპორტული კარიერა ფეხბურთით დაიწყო. 13 წლისამ კი უკვე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და თავისუფალ ჭიდაობაში დაიწყო ვარჯიში ცნობილი მწვრთნელის – ვასილ ილურიძის ხელმძღვანელობით. მალე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც სსრ კავშირის ისე საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება არ ჰქონდა, 19 წლის ახალგაზრდა რუბაშვილი საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველ ნომრად დაასახელეს და 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზე წაიყვანეს.

რომის ოლიმპიურ თამაშებზე ირანელთა „ოქროს იმედს“, ჰადემს დაეჭიდა. პირველივე წუთზე ელვისებური ილეთით მოწინააღმდეგე ბეჭებზე დასცა. შუამავალმა მსაჯმა ეს ილეთი არ ჩათვალა და შეხვედრის გაგრძელება ბრძანა. ჩვენა მოჭიდავემ იგივე ილეთი გაიმეორა და ირანელი კვლავ ბეჭებზე გაკრული აღმოჩნდა ხალიჩაძე, მაგრამ მსაჯმა ვერც ეს დაინახა. მომდევნო ჯერზე, გაბრაზებულმა ქართველმა მეტოქე ხელში აიტაცა და მძლავრად დაიქნია. ორიენტაციადაკარგულმა ჰადემმა ფეხი მსაჯს წამოსდო და ორივე „მოწინააღმდეგე“ ბეჭებით აღმოჩნდა ხალიჩაზე გაკრული. სხვა გზა არ იყო, გამარჯვება რუბაშვილს მიაკუთვნეს.

ახალგაზრდა, გამოუცდელი ქართველი ფალავანი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ერთი წლის შემდეგ მან თავისი ძალა იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში მსოფლიოს ჩემპიონატზე დაამტკიცა. მართალია პირველი შეხვედრა მასპინძელ სატოსთან წააგო, მაგრამ შემდგომ მოწინააღმდეგეებს მოგების შანსი არ დაუტოვა. მეორე წრეში ინდოელი სინეხი დაამარცხა, მერე ამერიკელ ალენსა და ირანელ თავავქულის სძლია და ფინალში გავიდა, სადაც მას თურქი ფალავანი იუნუს ფეხლევანი ელოდა.

ვლადიმერ რუბაშვილმა თავისი მრავალფეროვანი ჭიდაობით ნამდვილად წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იაპონელებზე. სარბიელზე მის გამოჩენას

მაყურებელი მქუხარე ოვაციებით ხვდებოდა. შეუპოვარი იყო ვლადიმერ რუბაშვილი ფინალურ ორთაბრძოლაშიც. რამოდენიმე ლამაზად ჩატარებული ილეთის შემდეგ მან ქართული შუაკაურით ხალიჩას გააკრა თურქი ფალავანი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. იაპონური პრესა აღფრთოვანებული წერდა: „შეუპოვარი“, „სასახარაზე უფრო შედეგიანი“, „ილეთების ფეიერვერკი“და სხვ.

ხანმოკლე სპორტული კარიერის განმავლობაში ვლადიმერ რუბაშვილმა, როგორც გულშემატკივრებს ისე სპეციალისტებს თავი დაამახსოვრა თავისი უბადლო ოსტსტობით. 1962 წელს საბჭოთა კავშირში იაპონელ მოჭიდავეთა სტუმრობისას რუბაშვილი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ოსამუ ვატანაბეს შეხვედრია. ქართველ ფალავანს ფანდების ისეთი ორომტრიალი დაუყენებია, რომ თავისუფალ და "კლასიკურ" ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონ ავგუსტ ენგლასს თავი ვერ შეუკავებია და წამოუძახია: „ისეთი მოჭიდავე, როგორიცაა რუბაშვილი, ჯერ არ მი ნახავს".

23 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა 1964 წლის 2 თებერვალს.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით ნაძალადევის რაიონში, ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდა.

ანზორ კიკნაძე

დაიბადა 1936 წლის 26 მარტს საგარეჯოს რაიონ სოფელ ბადიაურში. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საქართველოს ხუთგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში, პირველი ძიუდოისტი სსრკ-ში, რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი.

ევროპის 9-გზის ჩემპიონი ძიუდოში, 2-გზის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის 2-გზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი სამბოში.

საინტერესო ამბავს იხსენებს პირველი ქართველი ევროპის ჩემპიონი ძიუდოში ანზორ ქიბროწაშვილი, ინოკუმა – კიკნაძის ნახევარფინალურ შეხვედრის პერიპეტიებზე: „ამ შეხვედრაში ფაქტიურად ოლიმპიური ჩემპიონის ბედი წყდებოდა. თავიდან კიკნაძემ შესანიშნავი ქართული ფანდით ისეთი ვაზარი გაუკეთა ინოკუმას, რომ ის კარგა ხანს ტატამზე იჯდა და წამოდგომას არც კი ცდილობდა. როდესაც მსაჯმა

ძლივს წამოაყენა აბსოლუტურად უმოძრაოდ, გაყინული, გაოგნებული სახით იდგა თურმე ტატამზე ინოკუმა, ჯიმეს – მერე კიკნაძე მივიდა, თავისუფლად შეეძლო ნებისმიერი ფანდი, ილეთი, გაეკეთებინა გაშეშებული ინოკუმასთვის მაგრამ, ქართულ ჭიდაობაში გამოზრდილმა, 5-გზის აბსოლუტურმა ფალავანმა ანზორ კიკნაძემ მსგავსი რამ ვერ იკადრა, აკი რაინდულ დედა-ჭიდაობაში, ძიუდოსგან და სხვა სახეობებისგან განსხვავებით აკრძალულიც არის ამისთანა მოქმედება!..

კარგა ხანს ესე იდგნენ ტოკიოს "ბუდოკანის" ტატამზე მეტოქეები, შემდეგ როგორც იქნა ინოკუმა გონს მოეგო და გავეშებული დაეძგერა კიკნაძეს, ორი ვაზარიც აართვა და ესე გახდა ჯერ ამ შეხვედრის საბოლოო ჯამში კი ოლიმპიადის გამარჯვებული“.

როგორც მისი თანამედროვეები ამბობდნენ – ანზორ კიკნაძე იყო ერთ-ერთი ყველასაგან გამორჩეული ვაჟკაცი, დარბაისელი, ნამდვილი ქართველი რაინდი კაცი.

დაიღუპა ავტოკატასტროფაში 43 წლის ასაკში, 1976 წლის 17 ნოემბერს.

ანზორ ქიბროწაშვილი

დაიბადა 1939 წლის 25 ოქტომბერს ახმეტაში.

ბავშვობაში კალათბურთით იყო გატაცებული. ნახერხმოყრილ სარბიელზე პირველად მცხეთაში იჭიდავა. 1959 წელს მცხეთის ნაკრები ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა. წინამღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა. აქ სტუდენტებს ქართულ ჭიდაობასა და სამბოში ავარჯიშებდა გურამ პაპიტაშვილი და ანზორმაც მასთან დაიწყო ვარჯიში.

1960 წელს, გურამ პაპიტაშვილის ხელმძღვანელობით, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სამბისტთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ანზორ ქიბროწაშვილის იყო, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა და გაემგზავრა უკრაინის ქალაქ ხარკოვში. ამ შეჯიბრებაში სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან სტუდენტთა 17 ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. ქართველებს სერიოზულ მეტოქედ

არავინ მიიჩნევდა, მათ კი ნამდვილი სასწაული მოახდინეს, ყველა მეტოქე დაამარცხეს და ოქროს მედლებით დაბრუნდნენ სამშობლოში.

ძიუდო საქართველოში გასული საუკუნის 60–იანი წლებიდან შემოვიდა და მოკლე დროში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ის ქართველების საყვარელ სპორტის სახეობად იქცა.

ჩვენმა სპორტსმენებმა პირველი შთამბეჭდავი წარმატება 1962 წელს მოიპოვეს გერმანიის ქალაქ ესენში. ევროპის პირველ ჩემპიონატზე, ანზორ ქიბროწაშვილმა და ანზორ კიკნაძემ ოქროს მედლები მოიპოვეს. ამ ჩემპიონატზე ანზორ ქიბროწაშვილმა პირველმა მოიპოვა ოქროს მედალი და ქართული სპორტის ისტორიაში გახდა ევროპის პირველი ჩემპიონი ძიუდოში. სულ ანზორ ქიბროწაშვილმა 1962-1966 წლებში 4-ჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული ძიუდოში.

1965 წელს, ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა აბსოლიტურ კატეგორიაში. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, 2008 წლის 27 ოქტომბერს.

ვანო გამხიტაშვილი

დაიბადა 1973 წლის 13 ივლისს კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. სამთავისში.

1995 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

1994 წელს გახდა საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში,

საქართველოს სამბოს ფედერაციამ XX საუკუნის საუკეთესო ქართველ სამბისტად აღიარა.

1999 წელს მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული სამბოში. 1999 წელს მოიგო მსოფლიო თასი.

1993-1996 წლებში ევროპის ჩემპიონატებზე ოთხჯერ მოიპოვა ვერცხლის მედალი, 1997 და 1998 წლებში კი ბრინჯაოს მედალი.

1995-1998 წლებში იყო მსოფლიოს ჩემპიონატების ოთხგზის მეორე პრიზიორი და 1991-1994 წლებში ორგზის მესამე პრიზიორი.

1999 წლის 12 დეკემბერს, 26 წლის ვანო გამხიტა-შვილის ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ვანოს გარდა-ცვალების შესახებ შეიტყო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა სამბოში რუსმა სერგეი ლაპავოკმა და დაკ-რძალვის დღეს ჩავიდა სამთავისში. ვანომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ორჯერ წააგო რუს მეტოქესთან, მაგრამ როგორც ამბობენ მეორე შეხვედრა ვანოსი იყო. ალბათ ამიტომაც მივიდა ქართველი ფალავნის ცხედართან და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი გულზე დაადო და თქვა: „ეს შენ გეკუთვნოდა ვანო“.

2013 წლის 13 ივლისს, ვანო გამხიტაშვილის დაბა-დებს დღეს, სამთავისში ქართული ჭიდაობის ახალი, ღია საჭიდაო არენა გაიხსნა, რომელსაც მისი სახელი მიანიჭეს. ამავე დღეს სოფელში მისი ბიუსტიც გახსნეს. სერგეი ლაპავოკი ამჯერადაც ჩამოვიდა საქართვე-ლოში და მეგობრის სახელობის საჭიდაო არენის და ბიუსტის გახსნაშიც მიიღო მონაწილეობა და კიდევ ერთხელ მოინახულა მეგობრის საფლავიც.

მას შემდეგ ქართულ ჭიდაობაში ვანო გამხიტა-შვილის სახელობის ტურნირი, ყოველი წლის 13 ივ-ლისს, მის დაბადების დღეზე, ტრადიციულად ტარ-დება სამთავისის ღია საჭიდაო არენაზე.

თემურ ხუბულური

დაიბადა 1955 წლის 24 აპრილს გორის რაიონის სოფელ სკრაში.

1976 წელს მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ქართულ ჭიდაობაში.

ქართული სპორტის ისტორიაში თემურ ხუბულური ჯერჯერობით ერთადერთი ძიუდოისტია ორგზის მსოფლიო ჩემპიონი.

1979 წლის 6-9 დეკემბერს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენმა ფალავანმა ფინალამდე ზედიზედ დაამარცხა მაროკოელი ელ არაბი ელ ჯამალი, ჰოლანდიელი ჰენკ ნუმანი, უნგრელი იშტვან შეპეში და ავსტრიელი რობერტ კიოსტენბერგერი. ფინალში ქართველმა ძიუდოისტმა ბელგიელ რობერტ ვან დე ვალეს აჯობა.

1981 წელს (3-6 სექტემბერი) ნიდერლანდების ქალაქ მაასტრიხტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი ფალავანი ფინალში კვლავ ჰოლანდიელ ვან დე ვალეს შეხვდა. ამჯერადაც გამარჯვებული გამოვიდა

თემურ ხუბულური და მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

თემურ ხუბულურმა ორჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული 1976 წელს კიევში და 1979 წელს ბრიუსელში. 1981 წელს კი უნგრეთის ქალაქ დებრეცენში გამართულ ევროპის ჩემპიონატებზე ვერცხლის მედალი მოიგო.

1977 წელს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა.

1979 წელს დასახელდა საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად.

მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მან ვერცხლის მედალი მოიპოვა. ფინალამდე მან გზიდან ჩამოიცილა პოლონელი დარიუშ ნოვაკოვსკი, რუმინელი დანიელ რადუ, გერმანელი დიტმარ ლორენცი და კუბელი როლანდო ხოსე ტორნესი.

ფინალში მას კვლავ ვან დე ვალესთან მოუწია დაპირისპირება. ჰოლანდიელმა ორ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში წაგების შემდეგ მოახერხა ჩვენი მოჭიდავის დამარცხება და ოქროს მედალიც მას დარჩა.

თემურ ხუბულური 2012–2016 წლებში იყო საქართველოს მე-8 მოწვევის და 2016–2020 წლებში – საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის პარლამენტის წევრი.

მალხაზ ბერუაშვილი

დაიბადა 1961 წლის 14 ოქტომბერს ქალაქ ქარელში.

1986 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

საქართველოს ერთ-ერთი ტიტულოვანი ფალავანი ქართულ ჭიდაობაში. მან 1979-1989 წლებში ხუთჯერ მოიპოვა საქართველოს აბსოლიტური ჩემპიონის ტიტული.

1983 წელს გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე, 1984 წელს კი იმარჯვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე.

მალხაზ ბერუაშვილი არის 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი და ევროპის 1990-1991 წლების ორგზის ჩემპიონი სამბოში. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ალექსი დავითაშვილი

დაიბადა 1974 წლის 21 ივნისს ახმეტაში.

1996-2008 წლებში რვაჯერ მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ფალავანის წოდება ქართულ ჭიდაობაში.

უნიკალურია მისი სპორტული კარიერა. ის წარმატებით ასპარეზობდა სამბოში, ძიუდოში და სუმოში.

1998 წელს ევროპის ჩემპიონატზე სუმოში გახდა ვიცე-ჩემპიონი, 1998, 1999 და 2001 წლებში კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა ძიუდოში.

2010 წელს ტაშკენტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვა ბრინჯაოს მედალი სამბოში.

2002 წელს სლოვენიის ქალაქ მარიბორში და 2003 წელს ლონდონში, ევროპის ჩემპიონატებზე ძიუდოში მოიპოვა ოქროს მედლები. 1994-2001 წლებში კი ოთხჯერ გახდა ბრინჯაოს პიზიორი.

1998 - 2005 წლებში ექვსჯერ მოიპოვა მსოფლიოს თასი.

ალექსი დავითაშვილი არის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ძიუდოში ვეტერანთა შორის.

ადამ ოქრუაშვილი

დაიბადა თბილისში 1989 წლის 1 იანვარს.

2009-2012 წლებში გახდა საქართველოს ოთხგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში.

სუმოში არის 18 წლამდელებს შორის ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლი პრიზიორი, 21 წლამდელებს შორის ევროპის ოთხგზის ჩემპიონი და ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი.

2015 წელს ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში მოიპოვა ოქროს მედალი, 2013 და 2014 წლებში ვერცხლის მედლები, 2006 წელს ბრინჯაოს მედალი.

2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აბსოლიტურ წონაში მოიგო ბრინჯაოს მედალი.

მსოფლიოს 2013 და ევროპის 2014 წლებში, გუნდურ ჩემპიონატებზე, საქართველოს ნაკრებთან ერთად მოიპოვა ოქროს მედლები.

2010 და 2011 წლებში მოიპოვა ვეროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს მედლები სუმოში.

ჯემალ მჭედლიშვილი

დაიბადა 1962 წლის 21 სექტემბერს ქარელის რ-ნის სოფელ ზემო ხვედურეთში. ჭიდაობასაც მშობლიურ სოფელში ეზიარა.

1985 და 1986 წლებში ორჯერ გახდა საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში.

1987 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე სამბოში, რომელიც იტალიის ქალაქ მილანში ჩატარდა, მოიპოვა ოქროს მედალი. მსოფლიო ჩემპიონის მეორე ოქროს მედალი კი 1989 წელს ამერიკის ქალაქ ვესტორანჯში მოიგო. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მან 1987, 1989 და 1991 წლებში სამჯერ მოიგო ევროპის ჩემპონის ოქროს მედალი. ის სსრკ ორგზის ჩემპიონია და თასის მფლობელი სამბოში.

1983 წლის სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადზე მეორე პრიზიორი, ხოლო 1986 წელს სსრკ ჩემპიონატზე მესამე პრიზიორი გახდა ძიუდოში.

არის ღირსების ორდენის კავალერი.

ვალერი პარუნაშვილი

დაიბადა 1968 წლის, 11 აპრილს თბილისში.

1994 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

1995 წელს გახდა საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში.

1991 წელს საფრანგეთის ქალაქ შამბერიში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე სამბოში მოიპოვა ოქროს მედალი.

1995 წელს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სამბოში (1993). სსრკ ჩემპიონატის მეორე (1990) და მესამე (1989) პრიზიორი ძიუდოში (1989, 1990).

ზვიად ხანჯალიაშვილი

დაიბადა 1983 წლის 5 იანვარს თელავში. ქართული ჭიდაობის წიაღიდან წამოსულმა ახალგაზრდამ 2006 წელს საქართველოს აბსოპუტური ფალავნის ტიტული მოიგო ქართულ ჭიდაობაში.

საერთაშორისო არენაზე პირველ დიდ წარმატებას 18 წლის ასაკში მიაღწია, როდესაც 2001 წელს ახალგაზრდებს შორის ძიუდოში ევროპის თასი მოიპოვა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ევროპის პირველობაზე იზეიმა გამარჯვება.

2006 წელს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში საქართველოს ნაკრებთან ერთად გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

2010 წელს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. 2012 წელს კი რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკში მეორედ დაეუფლა ოქროს მედალს.

ლაშა გუჯეჯიანი

დაიბადა 1985 წლის 12 აგვისტოს თბილისში. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ძიუდოში.

2021 წელს ევროპის ძიუდოს კავშირმა გადასცა წლის საუკეთესო მწვრთნელის საპატიო ჯილდო.

2007 წელს მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ქართულ ჭიდაობაში.

ათენის 2004 და პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

20 წლამდელებს შორის, 2003 წელს ჯერ ევროპის, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 2005 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა 23 წლამდელებს შორის.

2006 და 2008 წლებში საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ძიუდოში. 2008 და 2010 წლებში კი ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში.

ბექა ღვინიაშვილი

დაიბადა 1995 წლის 26 ოქტომბერს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისში.

2014 წელს მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ქართულ ჭიდაობაში.

ძიუდოში 2013 და 2014 წლებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის, ასევე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

2015 წელს ყაზახეთის ქალაქ ასტანაში გუნდურ ასპარეზობაში გახდა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. 2017 წელს კი პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ასევე გუნდურ ასპარეზობაში მოიპოვა ოქროს მედალი. 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის მონაწილე.

ევროპის ძიუდოს ფედერაციის მიერ დასახელდა ევროპის 2013 წლის საუკეთესო ახალგაზრდა ძიუდოისტად.

გურამ თუშიშვილი

დაიბადა 1995 წლის 5 თებერვალს კოჯორში.

2017 და 2023 წლებში მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ქართულ ჭიდაობაში.

2017 წელს ის გახდა ევროპის ჩემპიონი. 2018 წელს კი მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მძიმე წონით კატეგორიაში. ქართველმა ფინალამდე და ზედიზედ სძლია რუმინელ ნატეას უკრაინელ ხამოს, ჰოლანდიელ მეიერს და მონღოლ დუურენბაიარს.

ფინალში მან აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე ჩვენი თანამემამულე უშანგი კოკაური დაამარცხა და პირველად მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი.

2021 წელს გურამ თუშიშვილმა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ფინალური ორთაბრძოლა ჩეხ ლუკას კრპალეკისთან დათმო და საქართველოს ვერცხლის მედალი მოუტანა.

ონისე ბუღაძე

დაიბადა 1991 წლის 12 იანვარს საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთაში.

2019 და 2021 წლებში მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ქართულ ჭიდაობაში.

საერთაშორისო არენაზე ასპარეზობდა ძიუდოში. 2013 წელს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

2015 წელს კი რუმინეთის ქალაქ კლუჟ-ნაპოკაში ოქროს მედალი მოიგო ევროპის ღია პირველობაზე.

2023 წლის 24 სექტემბერს, ისტორიაში პირველად, საბერძნეთის ქალაქ სალონიკში, ძველ ბერძნულ ამფითეატრ „კიპონში“, ჩატარდა ევროპის პირველი ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში.

აბსოლუტურ წონაში, რომელშიც 25-ზე მეტი ქვეყნის ფალავანი მონაწილეობდა, ევროპის პირველი ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი ონისე ბუღაძემ მოიპოვა.

ლევან გორგოძე

დაიბადა 1987 წლის 13 ოქტომბერს ქ. მცხეთის რაონის სოფელ ძეგვში.

ჭიდაობას ბავშვობიდან მისდევდა. თავისი სოფლის ნახერხმოყრილ საჭიდაო არენაზე აქვს ფეხი ადგმული. სერიოზული ვარჯიში კი 7-8 წლის ასაკიდან დაიწყო სამბოში, სპორტსაზოგადოება „დინამოში“, სადაც მისი პირველი დამრიგებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, გმირი ხაჩიძე იყო და იაპონიაში კარიერის გაგრძელებამდე მასთან ვარჯიშობდა. უნდა ითქვას, რომ სუმოში ასპარეზობის დროს ხშირად წარმატებულად იყენებდა ილეთს რომელიც „მოგვერდის“ მსგავსი იყო.

იგი წარმატებით გამოდიოდა როგორც ძიუდოს, ისე სამბოს ტურნირებში.

სუმოში ასპარეზობა ლევან გიორგაძემ 17 წლის ასაკში, 2004 წელს დაიწყო, როდესაც იაპონიის ქალაქ ოსაკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე აბსოლუტურ წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

2005 წელს კი ტოკიოში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე როგორც პირადში ისე გუნდურში ვერცხლის მედლები მოიგო.

დიდ სუმოში ლევანის (უკვე ტოჩინოშინის) დებიუტი 2006 წლის მარტში შედგა. 2008 წლის მაისში კი უმაღლესი დივიზიონის წამყვან პოზიციებს მიაღწია.

2013 წლის ივლისში, ერთ-ერთი შეხვედრის დასრულებისას მან მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და კარგა ხნით ჩამოშორდა სპორტს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მხოლოდ 2014 წელს დაბრუნდა და მესამე დივიზიონიდან დაიწყო ასპარეზობა.

2018 წლის იანვარში ტოჩინოშინმა გაიმარჯვა ჰაცუ ბაშოში და საიმპერატორო თასს დაეუფლა.

ის ქართველ სუმოისტებში პირველი, ევროპიდან მესამე, ხოლო მსოფლიოდან მეხუთეა, რომელმაც იაპონიის იმპერატორის უმაღლესი ჯილდო მოიპოვა.

2018 წლის 30 მაისს გაიმართა სუმოს ასოციაციის მიერ ლევან გორგოძისათვის ოძეკის ტიტულის ოფიციალური გადაცემის ცერემონიალი.

აღსანიშნავია, რომ მაისის ბაშოზე ტოჩინოშინმა ყველა დროის საუკეთესო სუმოისტად აღიარებული იოკოძუნა, მონღოლი ჰაკუჰო დაამარცხა.

არის ღირსების ორდენის კავალერი.

ქართველ მოჭიდავეთა სახელოვანი ძველი გვარდია
სხედან: გურამ საღარაძე, ვახტანგ ბალავაძე, რომან ძნელაძე.
დგანან: ავთანდილ ქორიძე, როსტომ აბაშიძე, გურამ
გობეჯიშვილი, ვლადიმერ რუბაშვილი, ზაურ შეყილაძე.

თავი V. საგვარეულო დინასტიები ქართულ საჭიდაო სამყაროში

მსოფლიოში არ არსებობს დარგი ან სფერო, სადაც ერთი გვარის რამოდენიმე თაობის წარმომადგენელი არ იყოს ჩართული. ასე იქმნებოდა და იქმნება სახელგანთქმული დინასტიები თეატრში, კინოში, სპორტში, არაფერს ვამბობთ სამეფო დინასტიებზე.

ასე მაგალითად, თავისუფალ ჭიდაობაში სამი ძმა ყაზბეგიდან: **დავით**, **ირაკლი** და **გიორგი მარსაგიშვილები**. ისინი სოფელ არშადან არიან.

ძმური დუეტი თავისუფალ ჭიდფაობაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოტევიდან **ავთანდილ** და **ნიკოლოზ კენჭაძეები.**

ოჯახური სამეული ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, **მიხეილ** და **ირაკლი ქაჯაიები** ძმები არიან, **იაკობ ქაჯაია** კი მათი ბიძაშვილი.

ახლო წარსულში ძმების დუეტი გამოდიოდა ძიუდოში – **დავით და მინდია ბოდაველები**, ახლა კი ასეთი სამი წყვილია: **ვანო და ბაგრატ ნინიაშვილები** თეთრიწყაროდან, **ამირან** და **ჯაბა პაპინაშვილები** კასპიდან და **ლაშა** და **ბექა შავდათუაშვილები** გორიდან.

რადგან ჩვენი მონოგრაფია მთლიანად ქართულ ჭიდაობას ეძღვნება, შევეცდებით იმ გამორჩეულ გვარებზე გავამახვილოთ ყურადღება, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჩვენი ეროვნული საუნჯის – ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციის საქმეში.

საყოველთაოდ ცნობილია შიდა ქართლის ფალავანთა სახელები, რომლებმაც სხვადასხვა დონის საერთაშორისო ტურნირებზე, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლებით სახელი და დიდება მოუტანეს ჩვენ სამშობლოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1928 წლიდან დღემდე 92 ჯერ ჩატარდა საქართველოს ფალავნობა და 44 მოჭიდავე გახდა გამარჯვებული. ამ 44-დან შიდა ქართლელმა (ხაშური, ქარელი, გორი, კასპი) 17 ფალავანმა 23-ჯერ მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ქართულ ჭიდაობაში.

ამ მოჭიდავეებიდან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ბერუაშვილების გვარის ფალავნობის ტრადიცია. ეს გვარი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ფციდან მოდის. პირველი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართული ჭიდაობის ტრადიციას, იყო **დურმიშხან ბერუაშვილი,** რომელიც გასული საუკუნის 50-60–იანი წლებში ასპარეზობდა როგორც ქართულ ჭიდაობაში, ისე სამბოსა და ძიუდოში.

ბერუაშვილების საგვარეულოში სწორედ დურმიშხანი მიიჩნევა პირველ დიდ ფალავანად. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მისი პაპიდან მოყოლებული მისი მამა და ძმები, ყველა ჭიდაობდა. დურმიშხან ბერუაშვილის მეგობრები და გულშემატკივრები ყვებოდნენ, რომ ის ფიზიკურად ძალიან ძლიერი და ქართული ჭიდაობის მრავალფეროვანი ტექნიკური ელემენტების საუცხოო შემსრულებელი იყო. სარბიელზე მის გამოჩენას, ყოველთვის თან სდევდა განსაკუთრებული სანახაობის მოლოდინი. საინტერესო ამბავს იგონებდა მისი მწვრთნელი, ქართული ჭიდაობის პატრიარქი, **გურამ პაპიტაშვილი:** „გორში, ქართულ ჭიდაობაში გამართული ერთ-ერთ შეჯიბრებაზე დურმიშხან ბერუაშვილი ცუდად დაეცა და ტრავმა მიიღო. ჩათვალეს, რომ ნეკნი ექნებოდა გატეხილი და უმალ საავადმყოფოში გააქანეს. საავადმყოფოში, ვიკითხე მკურნალი ექიმი.

მიმითითეს მისი ადგილსამყოფელი, თუმცა ექიმი და მისი კოლეგა დერეფანში

შემხვდნენ, ხელში რენტგენის სურათი ეჭირათ, რაღაცას გაოცებული ჩასცქეროდნენ და თან ხელებს გაკვირვების ნიშნად ასავსავებდნენ. ბოდიშის მოხდით, დურმიშხანის მდგომარეობა ვიკითხე, თან ცოტა ვღელავდი, მეშინოდა, ჩვენი ფალავანი უახლოესი შეჯიბრებებისთვის არ დამეკარგა. – ეს სწორედ ბერუაშვილის რენტგენის სურათია. – მეუბნება თეთრხალათიანი. – და ხომ კარგად იქნება, გატეხილი ხომ არ არის ნეკნი? – ვიკითხე, რადგან მათ ძალიან შეშფოთებული სახეები ჰქონდათ. – მობრძანდით, ბატონო და დახედეთ, აბა სურათს, – რაღაცნაირი წყრომით მითხრა ექიმმა და რენტგენზე მიმითითა, – ჩვენ მაგალითად, ის ვერ გაგვირკვევია, ეს ადამიანის ნეკნებია, თუ დათვისა და ამას აბა, რა უნდა მოსვლოდა? მოკლედ, დარდი არ გქონდეთ, დღესვე გამოვწერთ საავადმყოფოდან – დასძინა მედიკოსმა“.

დურმიშხან ბერუაშვილმა კარგად იცოდა, რომ ქართულ ქიდაობაში მაქსიმუმი შედეგი საქართველოს ჩემპიონობა იყო, ამიტომ მას უფრო შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა და გადაწყვიტა სამბოში მოესინჯა ძალები, რადგან იქ შეიძლებოდა უფრო დიდი წარმატებისათვის მიეღწია. მოგვიანებით სამბოში საკავშირო ნაკრების ლიდერადაც იქცა, ჯერ სსრკ ჩემპიონატის ფინალისტი გახდა მერე კი ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

უკვე გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სსრ კავშირში დაიწყო იაპონური ჭიდაობის – ძიუდოს დანერგვა და ბერუაშვილი იყო ერთ–ერთი პირველი, რომელმაც მოირგო კიმანო და გამორჩეულ უცხოელ ძიუდოისტებთან პაექრობაც მოუწია. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში, ძიუდოს საკვალიფიკაციო შეხვედ-რებზე, საჭოთა სპორტსმენებიდან თავად იაპონე-ლებმა მიიწვიეს მაშინდელი ნაკრების წევრები დურ-მიშხან ბერუაშვილი და ჰენრიხ შულცი.

ფოტოზე აღბეჭდილია ძიუდოში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრები, რომლებსაც შეხვედრა მოუ-წიათ ამხანაგური ტურნირის ფარგლებში იაპონიის გუნდთან. მარცხნიდან: **სტანისლავ სტეპანოვი, ანზორ ზურაბაული, ევგენი გლორიოზოვი, ილია ციპურსკი,**

დურმიშხან ბერუაშვილი, ანზორ კიკნაძე და ჰენრიხ შულცი.

რა თქმა უნდა იაპონიის ძიუდოისტთა ნაკრებთან, ძნელი იყო გამკლავება. პირველ შეხვედრაში საბჭოთა მოჭიდავეები ყველანი დამარცხდნენ, ბერუაშვილის გარდა. იპონელმა ძიუდოისტმა ვერაფერი მოუხერხა ქართველ ფალავანს და შეხვედრა ფრედ დასრულდა.

როგორც ცნობილია, ძიუდოში, სანამ ბერუაშვილი აქტიურ სპორტში იყო ჩართული, საკავშირო თუ საქართველოს ჩემპიონატები არ ტარდებოდა, ევროპის ჩემპიონატებზეც მხოლოდ 1962 წლიდან ჩაერთო სსრ კავშირის ნაკრები. დებიუტი იღბლიანი გამოდგა და დურმიშხან ბერუაშვილმა გუნდურ ასპარეზობაზე სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

დურმიშხან ბერუაშვილი ძალიან ახალგაზრდა, 43 წლის ასაკში, 1978 წელს, ავტოკატასტოფაში დაიღუპა.

დურმიშხან ბერუაშვილის ხსოვნის მემორიალი მის მშობლიურ სოფელ ფცაში, მისი ძმის, სიმონ ბერუაშვილის მიერ აგებულ საჭიდაო არენაზე, ყოველ წელს ტარდება.

დურმიშხან ბერუაშვილის სახელი მიენიჭა გორის ერთ-ერთ ქუჩას.

გუჯა ბერუაშვილი იყო დურმიშხანის ოჯახიდან პირველი, ვინც მამის კვალზე წავიდა. მას ბევრი შეჯიბრება აქვს მოგებული და საბჭოთა კავშირის ჩემ იყო.

გუჯას შვილიც, რომელსაც ბაბუის სახელი – დურმიშხანი დაარქვეს, წარმატებული მოჭიდავე აღმოჩნდა, მან იასპარეზა ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში, მოგებული აქვს არაერთი შეჯიბრება, თუმცა სპორტული კარიერა ადრე დაასრულა.

დურმიშხან ბერუაშვილის ახლო ნათესავი იყო **ზვიად ბერუაშვილი,** რომელიც საკმაოდ პერსპექტიული მოჭიდავე იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა.

ბერუაშვილების საჭიდაო ტრადიციებს აგრძელებენ უფროსი დურმიშხან ბერუაშვილის ძმისშვილები **მალხაზ და გელა ბერუაშვილები.**

აქ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ, ბერუაშვილების გვარის ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავეა **მალხაზ ბერუაშილი.**

მალხაზ ბერუაშვილი

დაიბადა 1961 წლის14 ოქტომბერს ქარელში. სპორტული კარიერა ქართული ჭიდაობით დაიწყო.

1986 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

1979, 1982, 1984, 1987 და 1989 წლებში მან ხუთჯერ მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ფალავნის წოდება ქართულ ჭიდაობაში.

1983 წელს მალხაზი გახდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი ძიუდოში, 1984 წელს მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული.

საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობდა სამბოში, 1990 წელს მოპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული მძიმე წონაში, ხოლო 1987 და 1989 წელს საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული.

1990 წელს, ჯერ გამარჯვება იზეიმა ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო მოგვიანებით, იმავე წელს, მოსკოვში

გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა.

1991 წელს იტალიის ქალაქ ტურინში მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი. არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა სამჯერ დაასახელეს საქართველოს სპორტსმენთა წლის საუკეთესო ათეულში.

1982 წელს მე-10 ადგილი, 1983 და 1990 წლებში მერვე ადგილი.

აღსანიშნავია რომ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ფცაში ყოველწლიურად იმართება მალხაზ ბერუაშვილის სახელობის ტურნირი.

გელა ბერუაშვილი

ბერუაშვილების გვარის ერთერთი წარმომადგენელი, ტიტულოვანი და საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე.

მან 1988 წელს მოიპოვა საქართველოს აბსოლუ-ტური ჩემპიონის ტიტული ქართულ ჭიდაობაში.

გელა ბერუაშვული ამჟამად ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია. ის ამ პოსტზე მესამე ვადით აირჩიეს.

აქვე იმასაც აღვნიშავთ, რომ გელა ბერუაშვილის პრეზიდენტობის დროს 2018 წელს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავრობათაშორისი კომიტეტის სხდომაზე, ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდ-რეობის ძეგლების – ქართული მრავალხმიანობის, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრა-დიციული მეთოდისა და ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის შემდეგ, ქართული ჭიდაობა იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიყვანეს.

ბერუაშვილების შემდეგ აუცილებლად უნდა ვისაუბროთ **გოგიბედაშვილების** დინასტიაზე და მათ წვლილზე ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეში.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მე-20 საუკუნის 20-30 იანი წლების ქართული ჭიდაობის ერთერთი უძლიერესი მოჭიდავე და დიდი მოამაგე

ვლადიმერ (ლადო) გოგიბედაშვილი.

ვლადიმერ (ლადო) გოგიბედაშვილი.



დაიბადა 1901 წლის 24 ივნისს, სოფელ ზემო ხანდაკში(გორის მაზრაში, დღევანდელი კასპის რაიონი).

შიდა ქართლის სოფლ-ებში ქართული ჭიდაობა ოდითგანვე მშობლიური სპორტის სახეობა გახლდათ და არც პატარა ლადო იყო ამ მხრივ გამონაკლისი.

მოზარდმა ლადომ სოფლის ცენტრში წმ. გიორგის სახ. ეკლესიის ეზოში მოწყობილ საჭიდაო არენაზე აიდგა ფეხი, იქ შეისწავლა ჭიდაობის ანბანი.

ცნობილია, რომ გორის ცნობილი მიჭისძვრის შდეგად, 1920 წელს ეკლესია მთლიანად დაინგრა.

საჭიდაო და ტაძრის ნანგრევები კარგადაა აღბეჭდილი სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმში „ყოველ შაბათს“, რომელიც 1970 წელს ლადო გოგიბედაშვილის თაოსნობითაა გადაღებული და მისი რეჟისორი გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი, მხატვარი და

პოეტი, რეზო ესაძე იყო. ფილმმა ბუდაპეშტის კინო ფესტივალზე, 1973 წელს, „გრან პრი“ მოიპოვა დოკუმენტურ ფილმთა ნომინაციაზე.

ფილმი მოგვითხრობს ლადო გოგიბედაშვილის მშობლიურ სოფელში ქართული ჭიდაობის ტურნირების გამართვის სამაგალითო ტრადიციაზე, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ბატონმა ლადომ.

სრულიად ახალგაზრდა, 13-14 წლის მოზარდმა ლადომ, თბილისში, ესიკოვსკის და ნიკიტინის ცირკებში დაიწყო გამოსვლები.

1927 წელს ლადო სახელგანთქმულმა ფალავანმა ნესტორ ესებუამ თავის დასში იხმო. ესებუამ, თბილისში ერთერთმა პირველმა, საჭიდაო წრე (კრუგი) ჩამოაყალიბა.

მოგვიანებით ლადომ უკვე თავად შექმნა საჭიდაო წრე და თავისი გუნდი გააკეთა მუშტაიდის ბაღში.

1931 დ 1932 წლებში მან ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი ტიტულები მოიპოვა ქვემძიმე წონაში. შემდეგ გახდა მწვრთნელი სელექციონერი.

მის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან, პირველმა, აფხაზეთში შეიტანა ქართული ქიდაობა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში თავად, საკუთარი სახსრებით ატარებდა შეჯირებებს და როგორც წარმატებული მწვრთნელი-სელექციონერი არჩევდა პერსპექტიულ

მოჭიდავეებს. საქართელოში არ ყოფილა ჩატარებული თითქმის არცერთი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში რომლის ორგანიზადორი და მსაჯი არ ყოფილიყო ლადო გოგიბედაშვილი.

ლადო გოგიბედაშვილს ჰქონდა შეგროვებული ვეფხისტყაოსნების უნიკალური კოლექცია რამოდენიმე ათეულ ენაზე ნათარგმნი, კოლექციაში ჰქონდა არჩილ მე-6-სეული პირველი გამოცემაც. ბოლოს ეს თავის უნიკალური კოლექცია (52 წიგნი) კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა და დღემდე იქ ინახება.

ერთ საინტერესო ინფორმაციას წავაწყდით სოციალურ ქსელებში, რომელიც უშუალოდ ქართულ ჭიდაობას ეხება. პოსტის ავტორი აცხადებს: რომ „ნაამბობის რეალობაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ საკმაოდ საინტერესო ისტორიაა და ვინც ლადო გოგიბედაშვილს კარგად იცნობდა მისი მარიფათის მქონე კაცისგან ნამდვილად არაა გასაკვირი“.

საქმე იმაშია, რომ 1940-იანი წლების დასაწყისში ახალგაზრდა ვლადიმერ გოგიბედაშვილი მოსკოვში ყოფილა საქმეეზე და მაშინდელ საკავშირო სპორტკომიტეტში შეუვლია და ერთერთ მარალჩინოსანთან შესულა. ჩინოვნიკს უამბო თავის ამბავი, რომ ორჯერ საქართველოს ჩემპიონი გახლავართ ქართულ ჭიდაობაში და საბჭოთა კავშირის "სპორტის ოსტატობა" მეკუთვნის და უნდა

მომცეთო! მსგავსი სპორტი პირველად მესმისო - ღიმილით უთქვამს ჩინოვნიკს. ცოტა აღელვებულ ლადოს უთქვამს: "სამბო" ხომ რუსული ჭიდაობაა? და თუ სამბოში რუსეთის ჩემპიონებს და პრიზიორებს ანიჭებთ "სპორტის ოსტატობას" ჩვენ ქართველებმა რა დავაშავეთ, გვჩაგრავთ? ჩინივნიკი შეფიქრიანებულა და გასულა ოთახიდან. კარგა ხნის შემდეგ უკანდაბრუნებულმა ლადოს მხარზე დაადო ხელი და უთხრა ყველაფერი რიგზეაო. ლადო გოგიბედაშვილი მოსკოვიდან თბილისში "სპორტის ოსტატის" ნიშნით მკერდდამშვენებული დაბრუნებულა. აქ იმასაც უნდა გვუსვათ ხაზი, რომ გამონაკლისს მხოლოდ მასზე ხომ არ გააკეთებდნენ? საქართველოს ჩემპიონებს სათანადო დოკუმენტები თავის სამკერდე ნიშნით ჩამოუვიდა საქართველოში და სსრ კავშირის დაშლამდე - საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში ღირსეულად იღებდა საბჭოთა კავშირის "სპორტის ოსტატობის" დამადასტურებელ დოკუმენტს და სამკერდე ნიშანს!

ვლადიმერ გოგიბედაშვილი იყო ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის საპატიო წევრი სიცოცხლის ბოლომდე, რესპუბლიკის დამსახურე-ბული მსაჯი ქართულ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი, საოცარი თამადა და დარბაისელი კაცი.

გარდაიცვალა 1977 წელს. დაკრძალულია სოფელ ზემო ხანდაკში.

ნუგზარ გოგიბედაშვილი

ლადო გოგიბედაშვილის ვაჟი, ნუზარი, დაიბადა 1939 წლის 9 თებერვალს თბილისში.

1953 წელს, 14 წლის ასაკში, დაიწყო ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში, ცნობილ მწვრთნელ შალვა ნოზაძესთან.

1957 წელს დაამთავრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში.

1956-1964 წლებში ათჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. 1957 - 1958 წლებში მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულები ჭაბუკებში.

1964 წელს, აზერბეიჯანის დედაქალაქ ბაქოში გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონტზე, მოიპოვა ოქროს მედალი 97 კგ. წონით კატეგორიაში.

1966 წელს ჯაკარტაში გამართულ „აზიის მცირე ოლიმპიური თამაშებზე“ გახდა ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი. სპორტის ოსტატი.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ აქტიურად ჩაერთო მეცნიერულ საქმიანობაში.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში პრაქტიკოს ექიმად.

1968-1982 წლებში იყო თბილისის ენდოკრინოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი.

1970-1982 წლამდე პარალელურად იყო თბილისის მთავარი ენდოკრინოლოგი.

1982 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მედიცინაში. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

2010 წლამდე კასპის რაიონის და რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

გარდაიცვალა 2021 წლის 26 თებერვალს, 82 წლის ასაკში.

თამაზ გოგიბედაშვილი

ლადო გოგიბედაშვილის შვილიშვილი და ნუგზარ გოგიბედაშვილის შვილი, დაიბადა 1967 წლის 7 ივლისს ქალაქ ბათუმში.

1984 წელს დაამთავრა დაამთავრა თბილისის მე-18 სკოლა და ჩააბარა საქართ-ველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც 1991 წელს დაამთავრა და მიიღო მწვრთნელის კვალიფიკაცია ჭიდაობაში. პარალელურად ინსტიტუტში სწავლობდა სპორტული ჟურნალისტიკის განყოფილებაზე და მიენიჭა სპორტული ჟურნალისტის კვალიფიკაცია.

2000 – 2005 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის მერიის განათლების სამსახურის სპეციალისტად. 2015 წლიდან დღემდე არის სამაუწყებლო კომპანია „სილქნეტის“ სპორტული ჟურნალისტი, ტელე-კომენტატორი და მონიტორინგის მენეჯერი.

რა თქმა უნდა თამაზ გოგიბედაშვილი ოჯახური ტრადიციების გამგრძელებელი გახდა. პატარაობიდანვე ეზიარა როგორც ქართული ჭიდაობის ისე ძიუდოს საიდუმლეობებს.

მართალია თამაზ გოგიბედაშვილმა თავის წინაპრების დონეს ვერ მიაღწია საჭიდაო სარბიელზე, მაგრამ მან აირჩია პროფესია, რომელიც მთლიანად დაკავშირებულია ჭიდაობასთან და მის პოპულარიზაციასთან.

ის, როგორც თავისი საქმის უაღრესად მაღალი დონის პროფესიონალი, სპორტული ჟურნალისტი, წარმატებულად უძღვება რეპორტაჟებს ყველა სახის ჭიდაობებზე, რომელიც ტარდება ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ და განსაკუთებული წვლილი შეაქვს ქართული სპორტის და ჭიდაობის პოპულარიზაციის საქმეში.

ლიტერატურა:

1. **გორგაძე მ.** „ფიზიკური კულტურის ისტორია“ გამომც. „განათლება“, თბილისი, 1965 წ.
2. **შ. ახვლედიანი, ჯ. ბაგრატიონი,** ნ. გუგუშვილი. „სპორტი საქართველოში“. თბილისი, 1981 წ.
3. **ა. ციბაძე.** ,,ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია“. თბილისი, 1991 წ.
4. **ჯ. ძაგანია.** „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004 წ.
5. **ე. ბერიშვილი.** ქართული სპორტის ოქროს წიგნი. თბილისი, 2013 წ.
6. **ი. იმერლიშვილი**. ჭიდაობა ჩვენი ქართული. თბილისი, 2016 წ.
7. **თ. გოგიბედაშვილი.** ქართული ჭიდაობა. (ხალხური) თბილისი, 2017 წ.
8. **გ. ბარჯაძე.** ქართული ჭიდაობა/კაცობრიობის საგანძური/. თბილისი, 2021 წ.
9. **ძაგანია.** „ქართული სპორტის მატიანე“. თბილისი, 2022 წ.

გურამ ძაგანია დაიბადა 01.01.1941 წ. თბილისში. 1964 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, 1976 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1967 წლიდან მუშაობს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

1980-92 წლებში იყო პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, 1992-2005 წლებში – პროორექტორი სამეცნიერო დარგში.

1992 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1987 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1999 წელს სადოქტორო დისერტაცია პედაგოგიკაში.

2013 წლიდან 2023 წლამდე სპორტის უნივერსიტეტის რექტორი. 2023 წლიდან ვიცე-რექტორია.

არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ხელბურთში.

მინიჭებული აქვს სპორტის რაინდის წოდება, დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მედლით.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, როგორც ადგილბორივ, ისე საერთაშორისო დონეზე, 2023 წელს მიენიჭა ევროპის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIEPS) ტულინის პრემია.